სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 10 ნოემბერი | 1995 № 74 (212) | ფასი 30 თეთრი

ტრაგედია:

ზვიად ქაძანაია

- ჰადა 1974 წლის 22 ივლისს.
- დებიუტი უმაღლეს ჯგუფში — 1990 წლის 28 ოქტომბერს (ოდიში — სამგურალი)
- უმაღლეს ჯგუფში — 92 მატჩი, 16 გოლი

მაყურებლის აშკარა სიმპათია ნიჭით გამორჩეულთა ხვედრია. ტაშს და ქებას, როცა იმსახურებენ, არავისთვის იშურებენ, მაგრამ იშვიათია ფეხბურთის მოყვარულთა ის ყურადღება და დაფასება, რომელიც არასოდეს აკლდა ზვიად ქაძანაიას.

ადრეული ასაკიდანვე გუნდის ლიდერი და გოლეადორია. ჭაბუკთა ჩემპიონატში ზუგდიდელთა ნორჩი თავდამსხმელი მუდამ ბომბარდირთა შორის იყო. დებიუტიც 16 წლისას პქონდა უმაღლეს ჯგუფში. იგი ერთი გამორჩეული ფიგურა იყო იმ ნიჭიერ ზუგდიდელ ჭაბუკთა შორის, რომელთაც თავისი სიტყვა უნდა ეთქვათ ეროვნულ ჩემპიონატებსა და ქართულ ფეხბურთში. რომ არა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელმაც დაშლის პირას მიიყვანა ზუგდიდელთა ახალგაზრდული კოლექტივი, „ოდიში“ ამ სიტყვას ამ ბიჭების პირით ადრეც იტყოდა...

ზვიადშიც ოდიშური, ლაღი სისხლი ჩქეფდა. სნორედ ამის გამო იყო, რომ მისი დაუდეგარი ნიჭი მუდამ თანაბრად არ ვლინდებოდა. არასტაბილური თამაშიც მისი ბუნებით აიხსნებოდა. ეს ორი სეზონი კი ქაძანაიამ მეტი სერიოზულობით მოპკიდა საქმეს ხელი და კვლავ აღმასვლა დაიწყო. ამ სეზონში ჩემპიონატში მეასე მატჩი უნდა ეთამაშა...

ავტოავარიაში დაილუპა 21 წლის ზუგდიდელი ფეხბურთელი ზვიად ქაძანაია, მისი თანაკლუბელი კობა ჭაჭუა და „სამტრედიის“ ნახევარმცველი ბადრი დარასელია მძიმედ დაშავდნენ.

ეს ფოტო ორი წლის წინაა გადაღებული. მაშინ ზვიად ქაძანაია და ბადრი დარასელია ზუგდიდის „ოდიშში“ თამაშობდნენ...

7 ნოემბერს, 17 საათზე წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებთან, ცენტრალურ ტრასაზე, ქუთაისიდან დიდი სიჩქარით მავალი ახალთახალი „ფორდ სკორპიო“ გზაზე გადმოსულ ძროხას შეეჯახა, საწინააღმდეგო მხარეს გადავარდა, საპირისპირო მიმართულებით მოძრავ, ბათუმიდან მომავალ „იკარუსს“ შეუვარდა ბორბლებში და რამდენიმე ათეული მეტრი ავტობუსმა ათრია...

აი, დაახლოებით ასე დატრიალდა ის დიდი ტრაგედია, რომელმაც ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელის ზვიად ქაძანაიას სიცოცხლე შეიწირა, მისივე თანაკლუბელი კობა ჭაჭუა და „სამტრედიის“ ნახევარმცველი ბადრი დარასელია კი უგონოდ მოათავსეს ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში და დღემდე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე არიან. ავარიამ შეიწირა ბადრი დარასელიას ახალშერთული მეუღლე ინგა ჭკადუა და ქუთაისის „ტორპედოს“ ვიდეოოპერატორი ნოდარ ლეკვეიშვილი. მძიმედ დაშავდა მანქანის მძღოლი ზუგდიდელი გია ქაჯაიაც...

ასე იქცა ზუგდიდში, დარასელიების ოჯახში გაშლილი საქორწილო სუფრა ქელეხად...

ქორწილამდე ორიოდე დღით ადრე პატარძლის მეჯვარის მამას ცუდი სიზმარი უნახავს და თავისი ქალიშვილი ქუთაისში არ გაუშვია. ვაგლახ, რომ წინათგრძნობა მართალი გამოდგა.

ახალშეუღლებულნი გელათის ეკლესიას სწვევიან, იქიდან კი შინ მიიჩქაროდნენ და აღარ დასცალდათ. უკან მიმყოლი მანქანის მძღოლის თქმით, „ფორდ სკორპიო“ ისეთი სიჩქარით მიდიოდა, ვერაფრით დასწევიან, მიუხედავად იმისა, რომ 180 კილომეტრ-საათი სიჩქარით დახდევნებიან. თვითმხილველები ამბობენ, მანქანა კი არ მიდიოდა, მიფრინავდაო. „იკარუსის“ მძღოლს სერგო ტეტებაძეს ვეღარაფერი მოუხერხებია. გუშინ დავუკავშირდით ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოს და ჩვენს ზუგდიდელ კორესპონდენტს რომან გაბისონიას, რომელიც დარასელიების მეზობლად ცხოვრობს. ბადრი დარასელია გონს მოსულა, ექიმებს უთქვამთ, თუ გუშინდელი, ე.ი. 9 ნოემბრის ღამე გადაიტანა, გადარჩებაო, კობა ჭაჭუას სახეა აქვს ძლიერ დაზიანებული და ექიმებს განგრენისა ეშინიათ. შესაძლოა ჭაჭუას ცალი თვალის ამოღებაც დასჭირდეს.

ზვიად ქაძანაია კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელია, ვისი სიცოცხლეც ავტოკატასტროფამ შეიწირა. 1958 წელს გმირთა მოედანზე 30 წლისა დაიღუპა მეკარე ვლადიმერ მარღანია, 13 წლის მერე მტკვრის სანაპიროზე 34 წლის „ოქროს კაპიტანი“ შოთა იამანიძე გამოგვეცალა ხელიდან, მომდევნო წელს გორიდან მომავალი 21 წლის ნიჭიერი მეკარის თეიმურაზ სტეფანიას სიცოცხლე შეწყდა, ათი წლის მერე კი, 13 დეკემბერს, უბისაში დაიღუპა ქართულ ფეხბურთში ყველაზე დიდი გოლის ავტორი 25 წლის ვიტალი დარასელია...

12 ნოემბერს 19 საათზე.
დიდი კალათბურთი სპორტის სასახლეში:

საქართველო - ისრაელი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა გუშინ საღამოს დაასახელა ის 12 მოთამაშე, რომელიც გააგრძელებს თამაშისთვის მზადებას.

ირაკლი ვაშაკიძე
მამუკა ტურაშვილი
რეზო ჩხეიძე
ვახტანგ ნაცვლიშვილი
პაატა გურასპაული
გია სანაძე
ირაკლი ბაქრაძე
მიხეილ კოზეშავიძე
ლევან ქარაბაკი
ვლადიმერ სტეფანია
ნიკოლოზ დერიუგინი
კახა შენგელია

FIBA

საბოლოო, ათკაციან შემადგენლობას მწვრთნელი შაბათს გამოაცხადებს.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ. XVI ᲢᲣᲠᲘ. 9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲐ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 11:0 ᲓᲣᲠᲣᲯᲘ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ: ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ, ᲙᲐᲚᲐᲫᲔ, ᲮᲝᲠᲮᲔᲚᲘ, ᲓᲘᲓᲐᲕᲐ, ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ᲚᲝᲛᲯᲐᲜᲘᲫᲔ 46), ᲒᲝ�გᲘᲩᲐᲜᲘᲫᲔᲚᲘ (ᲮᲝᲛᲒᲠᲘᲪᲘ 50), ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ, ᲯᲐᲛᲐᲠᲐᲣᲚᲘ, ᲙᲘᲠᲫᲣᲪᲐᲫᲔ (ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲫᲔ 46), ᲪᲘᲪᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲣᲠᲣᲯᲘ: ᲠᲐᲭᲣᲨᲕᲘᲚᲘ (ᲒᲐ. ᲡᲝᲛᲮᲨᲕᲘᲚᲘ 76), ᲮᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲯᲘᲭᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 62), ᲧᲐᲜᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ, ᲖᲐᲠᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ, ᲭᲐᲠᲒᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲝᲡᲘᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲧᲘᲖᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲘᲜᲩᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (8. ᲮᲝᲛᲮᲘᲨᲘᲜᲘᲚᲘ 77)

1:0, 2:0 ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (2,4), 3:0 ᲒᲝ�გᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ (10), 4:0 ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (18), 5:0 ᲮᲝᲠᲮᲔᲚᲘ (36), 6:0 ᲒᲝ�გᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ (42), 7:0 ᲯᲐᲛᲐᲠᲐᲣᲚᲘ (59), 8:0, 9:0 ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲫᲔ (69,73), 10:0 ᲪᲘᲪᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ (75), 11:0 ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (85)

ᲛᲡᲐᲯᲘ: Თ. ᲓᲝᲒᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ)

ᲐᲭᲐᲛᲓᲔ ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲑᲣᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲘᲗ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ „ᲪᲣᲛᲣ“ ᲛᲝᲣᲒᲝ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲡᲬᲧᲓᲐ. „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ 11 ᲑᲣᲠᲗᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲐᲭᲐᲛᲓᲔᲪ ᲒᲐᲣᲢᲐᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲗᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ „ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘᲗ“ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲬᲘᲜᲗᲘᲗ ᲨᲔᲫᲚᲝ. რაც შეეხება ამ თამაშს, იგი მაყურებელს კატა-თაგობანას უფრო აგონებდა... მეტოქეებს ᲯᲔᲠ მისალმება და გაბურება ᲯᲔᲠ მოესწროთ, როცა სამᲯᲔᲠ იაშვილმა, ერთხელ კი გოგიჩაიშვილმა საწყის 20 წუთშივე ოთხᲯᲔᲠ გამოატანინეს კარიდან ბურთი სტუმართა მეკარეს. საბრალო პაქსაშვილი, მას ეს თამაში გვარიან ნервების წყვეტად დაუᲯდა, არადა, რას მოსთხოვ მეკარეს, რომელიც, ფაქტიურად, უდაცვად თამაშობს. მან მხოლოდ ერთხელ მოახერხა ᲯᲐᲛᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ ოსტატური დარტყმის მოგერიება. სტუმართაგან ერთადერთი გამოსარჩევი ვალერი გეგეშიძე გახლდათ, რომელიც თანაგუნდელების ქაოსური და უსისტემო თამაშის დალაგებას ცდილობდა, დანარჩენები კი იმ დღეს გროშადაც არ ღირდნენ. ტაიმის ბოლომდე ხორხელმა და გოგიჩაიშვილმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს და მასპინძლები შესვენებაზე გულარხეინად წავიდნენ. „ᲓᲣᲠᲣᲯᲘ“, მართალია, ᲭᲘᲜᲓᲐ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ყვარელმა კობიაშვილმა დინამოელ დიდავას მოულოდნელი საჩუქარი ᲯᲔᲠ შეიშნოვა, თანაც, მეკარე ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ მოწოდების სიმაღლეზე აღძრწხდა.

მეორე ნახევარში სტუმართა კარი ისევ დაისტვენა, საშველი კი არსაიდან ჩანდა. მაყურებელიც აშკარად შეწუხდა, ერთი სული ᲭᲔᲜᲓᲐ, რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო ეს თამაშად წოდებული საცოდაობა. იაშვილმა ᲰᲔᲗ-ᲗᲠᲘᲙᲘ არ იკმარა და პაქსაშვილი თავის წილად მეოთხედაც გაამწარა, ახალშემოსულმა დემეტრაძემ ორᲯᲔᲠ, ᲯᲐᲛᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡᲐ და ცქიტიშვილმა კი [illegible] კიდევ ოთხი დაურთეს. სტუმართა გუნდის თავკაცები დროზე მიხვდნენ, რომ საკუთარ მეკარეს ნервებს უფუჭებდნენ და დამთავრებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე იგი 14 წლის გიორგი სომხიშვილით შეცვალეს. მეტი რაღა იქნებოდა — ეს იყო და ეს. მოკლედ, „დინამო“ ერთხელ კიდევ „გაისეირნა“, „ᲓᲣᲠᲣᲯᲘᲡ“ კი უფრო გაიუარესა ისედაც არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ 2:1 ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ

ᲒᲐᲗᲣᲛᲘ 3:1 ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲡᲐᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ

«ᲓᲘᲚᲐᲡ» ᲨᲐᲕᲘ ᲓᲦᲔ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ 5:1 ᲓᲘᲚᲐ

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ: Გ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ, ᲧᲐᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲣᲪᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (თ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ 68), ᲠᲔᲥᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲩᲐᲠᲢᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲩᲐᲚᲐᲫᲔ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲖᲘᲠᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ, (Ლ. ᲐᲛᲑᲘᲫᲔ 76), ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲘᲚᲐ: ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲝᲛᲘᲫᲔ, Ჯ. ᲒᲐᲒᲒᲘᲫᲔ, ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ხ. ᲒᲐᲒᲒᲘᲫᲔ, ᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲪᲘᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲬᲘᲠᲘᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲙᲐᲜᲓᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 84), ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘᲫᲔ 14)

1:0 ᲩᲐᲚᲐᲫᲔ (10), 2:0 ᲑᲣᲪᲣᲠᲘᲔᲨᲕᲘᲚᲘ (44), 3:0 ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ (64), 4:0 ᲞᲐᲠᲢᲘᲐ (76), 4:1 Ჯ. ᲒᲐᲒᲒᲘᲫᲔ (81 Პ), 5:1 ᲩᲐᲚᲐᲫᲔ (85)

ᲛᲡᲐᲯᲘ: Ს. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ (ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ)

მოსალოდნელი ინტრიგა ᲯᲔᲠ შედგა — „დილა“ ნებისმიერი გუნდისთვის უხერხული მეტოქეა, თუმცა კი ამ დღეს უნაათოდ დამარცხდა. მიზეზი მრავალია, მაგრამ უმთავრესი მაინც რუსთაველთა ჩინებული თამაში გახლდათ. მათ საკმაოდ ძლიერი დაცვის ხაზით გამორჩეულ გორელებს ერთბაშად ხუთი ბურთი გაუტანეს. გორელთა მარცხის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისიც იყო, რომ ისინი თავიდანვე შეტევას შეტევითვე პასუხობდნენ და დაცვაში ხშირად ექმნებოდათ თავისუფალი ზონები, რითაც მასპინძლებმა თითქმის ასპროცენტიანი სარგებელი ნახეს და დამᲯᲔᲠᲔᲑლადაც გაიმარᲯᲕეს. პირველი ტაიმის დასწყისში სტუმრებმა ბრძოლის ჟინი კი გამოავლინეს და ხისტად, ᲯᲐᲠᲘᲘᲡᲘᲡ ზღვარზე ითამაშეს, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მასპინძელთა ინდივიდუალური ოსტატობის ხარᲯზე გადაწყდა. მათ უკვე ტრადიციული 4-4-2 სისტემით ითამაშეს. გორელებმა კი 4-5-1 ირჩიეს. მასპინძლები ფლანგების ხშირი და ეფექტური გამოყენებით სოლოლაშვილის კართან ერთი-მეორეზე მწᲯᲐᲕᲔ ვითარებას ქმნიდნენ. სხვებზე მეტად ამ თამაშში დავით ჩალაძემ ივარგა. პირველი გოლი სწორედ მისი დამსახურება გახლდათ: მშვენიერი დრიბლინგით გასცდა ოთხ მცველს და მახვილი კუთხიდან ჩინებული დარტყმით ანგარიში გახსნა. გორელები შეეცადნენ ანგარიშის გაქᲯᲝᲗᲕᲐ, მაგრამ მასპინძელთა ნახევარდაცვა და დაცვა უშეცდომოდ მოქმედებდა. მათ თამაშიდან გამოთიშეს გორელთა ერთადერთი თავდამსხმელი რიინ მარღიშვილი და მოედნის ცენტრსაც საფუᲯᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ აკონტროლებდნენ. ეს უპირატესობა უკვე პირველ ნახევარში გამოიკᲯᲝᲗᲐ. გორელები საერთოდ ხშირად ცდილობდნენ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ თამაშგარეს შექმნას და ერთხელაც თავისსავე ᲮᲐᲕᲜᲐᲖᲔ გაებნენ. 44-Ე ᲬᲣᲗᲖᲔ ᲙᲚᲔᲕᲐ ᲩᲐᲚᲐᲫᲔ ᲘᲧᲝᲩᲐᲚᲐ — თავისუფალ პოზიციაში მოძებნა გორელთაგან თამაშგარეში შეგულებული ᲑᲣᲪᲣᲠᲘᲔᲨᲕᲘᲚᲘ და ამ უკანასკნელს არ გასჭირვებია ანგარიშის გახრდა — 2:0.

მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა უეჭველი შეიქნა. ისინი აქტიურად, აზრიანად და, რაც მთავარია, შედეგიანად თამაშობდნენ. ალადაშვილის, პერტიასა და ჩალაძის გოლებს კი გორელებმა მხოლოდ ერთით — ᲯᲐᲛᲑᲣᲚ გაგნიძის პენალტით უპასუხეს.

თამაშის შემდეგ პირველად გორელთა მთავარი მწვრთნელი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲕᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მოვიხელთე:

— ჩემპიონატში „დილას“ არცთუ ურიგო გამოსვლების ფონზე ცოტა მოულოდნელი იყო თქვენი ასეთი მარცხი...

— ᲮᲣᲗᲘ მოთამაშე ტრავმირებული გᲧᲐᲕᲡ და ამის გამო, ფაქტიურად, თერთმეტი კაცის მხრებზე გადადის მთელი სიმძიმე. დღეს უკვე გადაᲚᲚᲘᲚᲝᲑამაც იჩინა თავი და ეს შედეგშიც აისახა. თანაც, თავდამსხმელის გარეშე ვთამაშობთ. ზურაბ ᲮᲝᲠᲒუაშვილი ტრავმის გამო 23 აგვისტოს შემდეგ მოედანზე არ გამოსულა, მისი არყოფნა ᲯᲘ გუნდს ძალიან ასუსტებს. ასე რომ, დღევანდელი მარცხი კანონᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘ იყო.

— ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝᲛᲡᲗᲐᲜ“ გამარᲯᲕᲔᲑაც კანონᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘ იყო?

— ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ, ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲔᲣᲬᲠᲐᲤᲕᲝᲓᲜᲔᲡ და მიაᲦᲬიეს კიდეც.

— შეიძლება ვცდები, მაგრამ დღეს მსგავსი თავდადება არ შეინიშნებოდა...

— ძᲜᲔᲚᲘᲐ მოთამაშეს მოსთხოვო თავდადება, როდესაც იცის, რომ წარმატებისთვის არავინ წაახალისებს. უკვე ორი თვეა, ბიჭებს ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑი არ აუღიათ. ძᲚᲘᲐᲜ მიკვირს ქალაქის გამგებლისა და ᲩᲕᲔᲜᲘ გუბერნატორის ფეხბურთისადმი გულგრილი დამოკიდებულება. გორში ორადორი ადგილია, სადაც შეიძლება ადამიანმა სიამოვნება მიიღოს — სტადიონი და თეატრი. არადა, არცერთ მაᲘᲒᲐᲜს ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲛძღვანელობა ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐს არ აქცევს. ᲩᲕᲔᲜᲘ კლუბის პრეზიდენტი ნოდარ დალაქიშვილი მარტო ცდილობს პრობლემების მოგვარებას, მაგრამ ეულად რას გასწᲕᲓᲔᲑᲐ გუნდის ხარᲯებს?! თუ მდგომარეობა არ შეიცვლება, მეშინია, გუნდი არ დაშალოს...

— რუსთაველთაგან უდაოდ იმსახურებს აღნიშვნას თავდამსხმელი დავით ჩალაძე — ორი უმშვენიერესი გოლი გაიტანა და ორშიც მონაწილეობა მიიღო.

— მᲒᲝᲜᲘ, თანდათან სასურᲕᲔᲚᲘ ფორმას მიᲒᲣᲐᲮᲚᲝᲓᲔ და, ეტყობა, თამაშიც გამომდის. საერთოდ, ყველამ თავისი საქმე ᲮᲣᲗᲘᲐᲜᲗᲖᲔ აკეთა და ამიტომაც ძლიერ „დილას“ უპირობლᲔᲛᲝ მოუგეთ.

ᲗᲘᲛᲣᲠ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ, „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲡ“ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: — ᲕᲘᲪᲝᲜᲓᲘთ, ᲡᲔᲠᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡთან რომ ვითამაშებდით და ფეხბურთელებიც საფუᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ მოემზადნენ. „დილა“ ცნობილია ᲮᲘᲡᲢᲐᲓ თამაშით. ᲩᲕᲔᲜ დავალება იყო, ფეხბურთელებს აქტიურად ეთამაშათ და ვადაცემები არ დაეყოვნებინათ. ანგარიში, მᲒᲝᲜᲘ, კარგად მეტყველებს, თუ როგორ შეასრულეს ბიჭებმა დავალება.

— რეᲖᲝ ძოძუაშვილი დღეს რატომ არ ᲮᲔᲚᲛძღვანელობდა გუნდს?

— პირადი საქმეების გამო. თამაშის წინ რაიონში წასვლამ მოუწია.

როგორც შევიტყვეთ, გუნდს ბოლო ᲮᲐᲜᲨᲘ ფინანსური პრობლემები გასჩენია. ისიც თქᲕᲣᲚ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲚᲔᲑთან რუსთაველი თამაშის წინ ფეხბურთელები მოედანზე გასᲕᲚᲐს არ აპირებდნენო. ამ ფაქტის კომენტარი ვთᲮᲝᲕᲔთ „მეტᲐᲚᲣᲠᲒᲘᲡ“ ტექნიკურ დირექტორს **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲣᲑᲘᲗᲘᲫᲔᲡ:**

— მართალია, იყო პრობლემები და ბᲔᲓᲘᲡ ანაბარადაც ვიყავით დარჩენილნი, უფულობამ თითქᲛᲘᲡ გამოუᲕᲐᲚ მდგომარეობაში ჩაᲒᲕᲐᲓᲔ, მაგრამ ბოლო მომენტში ქალაქის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა გულთან ახლოს მიიტანა ᲩᲕᲔᲜᲘ სატკივარი, დაᲓᲒᲔᲮᲐრა და ფეხბურთელებს ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ნაწილი დაᲥᲣᲠᲘᲒᲔთ. ახლა კლუბის დირექტორატი იქᲛᲜᲐ და იმედი მაქᲕᲡ მისი დახმარებით მრავალი პრობლემა მოᲒᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ. დირექტორატში ქალაქის ყველა წამყᲕᲐᲜი საწარმოს ᲮᲔᲚᲛძღვანელები შეᲯᲔᲚᲔᲜ. ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ დიდი შᲕᲔᲑა იქᲜᲔᲑ დადგენილება, რომლის მიხᲔᲓᲕᲘთაც თბილისის „დინამოს“ მსგავსად ᲩᲕᲔᲜᲘ უნდა განთავისუფლდეთ გადასახადებისაგან. ამის წყᲐᲚᲝᲑᲝთ დირექტორატს „მეტᲐᲚᲣᲠᲒᲘᲡ“ აღორძინება გაუადვილდება.

— დირექტორატის შᲔᲥᲛᲜᲐᲖე თქᲕᲔᲜ ᲩᲔᲠ კიდევ ამ წლის დასაწყისში საუბრობდით. როგორც ჩანს, საქმე გაᲯᲐნᲯლდა...

— დირექტორატი ᲯᲐ. ᲡᲐᲡᲣᲚᲝᲑდა, მაგრამ სხვა შეᲛᲐდგენლობით და პრობლემებიც ᲯᲔᲠ გადაწყვეტა. ამან გამოიწვია მისი დაᲫᲚა, უფრო სწორედ, დირექტორატის ოთხი წევრიდან ორი — ბენო ᲭᲐშაკაშვილი და ვალერი მᲭᲔდლიშვილი დირექტორატიდან წავიდნენ. განახლებული დირექტორატის ᲮᲔᲚᲛძღვანელი რუსთავის საგადასახადო ინსპექციის უფროსი ანზორ კოტეტიშვილი იქᲜᲔᲑა.

„მეტᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ ᲩᲔᲛპიონატში წარმატებით ასპარᲔᲖᲝᲑს და სავსებით რეალურია, ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗი ევროთასების საგᲖᲣᲠᲘ მიიპოᲕᲝს. რუსთავის სტადიონი კი ასეთი დონის შᲔᲯᲘᲑრების მასპინძლობისათვის მზად არ არის.

— თუ დირექტორატი ᲭᲛᲔდიᲗᲣᲜარიანი იქᲜᲔᲑა, სტადიონსაც მიᲖᲔᲓᲐᲕᲗ, უპირველესად კი მინდᲕრის საფარს. ასეთ შეᲛᲔდანზე სტუმართა მიღება სირცᲮვილია და არც მოგვცემენ ამის უფლებას. საქართველო-გერმანიის ახალგაᲖრდული ნაკრებების შეᲖვედრისას შეᲛᲔდანი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო და შენიშᲕნაც ამის გამო არ მოგვცეს, ახლა კი უეფას დელეგაცია რომ გᲕწᲕიოს, ასეთ მინდᲝრზე თამაშს საერთოდ აᲒᲕკრძალავენ. მისი მოწᲧსრიგება ᲩᲕᲔᲜ უახლოეს გეგმებში შეᲛᲔდის. აკი ვთქᲕი, ფინანსურად ოდნავ ამოვისუნთქეთ-მეთქი.

— მომავალი სეზონისთვის თბილისის „დინამოს“ ᲮᲔᲚᲛძღვანელობა ლეგიონერების დაბრუნებით გუნდის გაძლიერებას აპირებს, თქᲕᲔᲜც ხომ არ გაქᲕთ მსგავსი გეგმები?

— ქალაქის მერიის ᲩᲕᲔᲜᲒᲔ შემობრუნებამ იმედი ᲩᲐᲒᲕᲘᲡახა, რომ უახლოეს პᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ შᲔᲕᲫლᲔთ „მეტᲐᲚᲣᲠᲒᲘᲡ“ გაძლიერებას. მითუმᲔტეს, რომ ᲩᲕᲔᲜᲒ გᲧᲐᲕს ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘᲔᲑი და მათი დაბრუნება ნამდᲕᲘᲚᲐდ არ გᲕწᲧᲜᲓᲐ. ᲯᲔᲚᲘᲡᲬᲛობᲐ ძმებ კილასონიებსა და „სპარტაკი-ᲐᲚᲐᲜᲘᲐს“ მეკარეს გრიშიკაშვილს. მათ თავიანთ გუნდებთან მხოლოდ ᲔᲠᲗᲬᲚᲘᲐᲜი კონტრაქტები აქᲕთ გაფორმებული და თუ ფინანსურად მოᲗᲛᲔᲚᲐᲕრდით და მათ სათანადო პირობებს შᲔᲕთავაზებთ, სავსებით შესაძლებელია, რომ „მეტᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ გაᲫᲚიერდეს. თუმცა, ᲯᲔᲠ ამაზე საუბარი ნაᲐდრევია.

Გ. ᲩᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

XII ᲢᲣᲠᲘ. 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲒᲣᲠᲘᲐ 0:3 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

ᲒᲣᲠᲘᲐ: ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲘᲐ, ᲦᲣᲠᲜᲯᲘᲐ, ᲘᲛᲜᲐᲫᲔ, ᲙᲣᲪᲣᲚᲐᲫᲔ, ᲧᲝᲚᲪᲐᲘᲐ, ᲚᲝᲠᲘᲐ, ᲭᲘᲭᲐᲫᲔ, ᲒᲐᲜᲘᲔᲕᲘ, ᲭᲧᲝᲜᲘᲐ, ᲐᲑᲖᲚᲘᲓᲘᲐᲜᲘ, ᲜᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ: ᲖᲝᲘᲫᲔ, ᲙᲐᲚᲐᲫᲔ, ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲘᲓᲐᲕᲐ, ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲒᲝ�გᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲪᲘᲪᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲝᲠᲮᲔᲚᲘ, ᲙᲘᲠᲫᲣᲪᲐᲫᲔ (ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲫᲔ 60), ᲐᲜᲩᲐᲒᲐᲫᲔ (ᲙᲘᲧᲜᲐᲫᲔ 63), ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲮᲝᲛᲒᲠᲘᲪᲘ 74)

0:1 ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (35), 0:2, 0:3 ᲒᲝ�გᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ (55, 60)

ᲛᲡᲐᲯᲘ: Გ. ᲛᲘᲭᲐᲣᲢᲐᲫᲔ (ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ)

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ. ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ.

6, 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲗᲝᲠᲘ — ᲐᲚᲒᲔᲗᲘ 1:0, ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ — ᲐᲮᲝᲢᲐ 2:3, ᲐᲠᲛᲐᲖᲘ — ᲛᲔᲠᲐᲜᲘ 91 0:0, ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲘ — ᲙᲝᲓᲐᲙᲝ 3:1, ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-2 — ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 3:0, ᲘᲑᲔᲠᲘᲐ — ᲐᲡᲙ 4:0, ᲧᲘᲜᲔᲠᲘ — ᲨᲘᲠᲐᲥᲘ 2:1, ᲨᲣᲚ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ — ᲛᲝᲠᲙᲘᲜᲐᲚᲘ 2:1, ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ — ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘ 3:1

ᲨᲣᲚ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ	13	11	1	1	20-5	34
ᲛᲔᲠᲐᲜᲘ 91	14	10	2	2	41-5	32
ᲛᲝᲠᲙᲘᲜᲐᲚᲘ	14	8	3	3	22-11	27
ᲐᲮᲝᲢᲐ	14	7	6	1	23-10	27
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-2	11	7	2	2	22-7	23
ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ	15	7	2	6	36-27	23
ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲘ	14	6	3	5	16-16	21
ᲐᲚᲒᲔᲗᲘ	14	6	3	5	17-17	21
ᲐᲠᲛᲐᲖᲘ	13	5	5	3	13-9	20
ᲘᲑᲔᲠᲘᲐ	15	6	0	9	19-24	18
ᲐᲡᲙ	14	5	3	6	17-20	18
ᲨᲘᲠᲐᲥᲘ	14	5	3	6	16-28	18
ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲘ	13	5	2	6	18-18	17
ᲛᲠᲔᲢᲔᲑᲘ	14	4	3	7	13-18	15
ᲧᲘᲜᲔᲠᲘ	15	4	2	9	14-35	14
ᲙᲝᲓᲐᲙᲝ	13	3	4	6	14-23	13
ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ	14	1	6	7	9-16	9
ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘ	14	2	2	10	10-34	8
ᲗᲝᲠᲘ	14	1	4	9	10-27	7

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

6, 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ — ᲑᲐᲮᲛᲐᲠᲝ 4:2, ᲙᲝᲚᲮᲗᲘ-2 — ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ 0:1, ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-2 — ᲡᲐ�პᲝᲜᲯᲔᲚᲐ 0:0, ᲡᲥᲣᲠᲘ — ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲔᲚᲘ 0:1, ᲡᲣᲚᲝᲠᲘ — ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ 0:1, ᲩᲮᲔᲠᲘᲛᲔᲚᲐ — ᲙᲮᲑᲐᲖᲔᲠᲘ ᲘᲐᲒᲣᲐᲠᲘ 1:2, ᲠᲜᲛᲔᲜᲐ — ᲐᲜᲯᲔᲚᲘ 0:2, ᲨᲣᲥᲣᲠᲐ — ᲛᲔᲨᲮᲢᲐ 4:0, ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ-2 — ᲛᲐᲛᲘᲡᲝᲜᲘ 1:0.

ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ	15	13	2	0	40-7	41
ᲐᲜᲯᲔᲚᲘ	15	13	0	2	40-12	39
ᲨᲣᲥᲣᲠᲐ	15	12	2	1	54-13	38
ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲔᲚᲘ	15	12	0	3	35-15	36
ᲘᲐᲒᲣᲐᲠᲘ	15	11	0	4	32-19	33
ᲡᲣᲚᲝᲠᲘ	15	10	1	4	31-19	31
ᲛᲐᲛᲘᲡᲝᲜᲘ	15	7	2	6	24-22	23
ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ	15	6	5	4	21-14	23
ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ	15	6	3	6	19-21	21
ᲠᲜᲛᲔᲜᲐ	15	6	2	7	18-21	20
ᲡᲐ�პᲝᲜᲯᲔᲚᲐ	15	5	4	6	21-24	19
ᲙᲝᲚᲮᲗᲘ 2	15	5	3	7	19-18	18
ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝ	14	4	4	6	24-32	16
ᲛᲔᲨᲮᲢᲐ	15	4	2	9	24-25	14

ვინც ჩვენი და ბულგარეთის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრა ნახა, ეჭვი არაა, მოეწონებოდა ჩვენი მარჯვენა ნახევარმცველის, შევარდნელი გაიოზ ჯელაძის თამაში. სისწრაფითა და ტექნიკურობით გამორჩეული მისი გარღვევები ერთად-ერთი ნათელი ნერტილი გახლდათ ჩვენი ნაკრების უნიათო თამაშში.

...ბურთაობა აფხაზეთში, სოხუმში დაუნყია, ჯერ „სუბტროპიკში" თამაშობდა. შემდეგ 16 წლისა „ცხუმის" დუბლიორი იყო, სათადარიგო შემადგენლობის დაშლის გამო კი პირველ გუნდში გადაიყვანეს...

ნეტავი «ცხუმში» მათამაშა...

— მაშინ „ცხუმში" ცავა, ჯიმკარიანი, გოგრიჭიანი, ჩიხრაძე, ეორეულიანი და სხვაც ბევრი ცნობილი მოთამაშე გამოდიოდა და მათგან ბევრიც ვისწავლე. ძალიან მეგობრული გუნდი იყო. მახსოვს, ჩვენ შეხვედრებზე სოხუმის სტადიონი პირთამდე ივსებოდა — გუნდი ხომ აფხაზეთის ქართველობისთვის დიდი სტიმული გახლდათ. ის კი არა, ვიცი, ჩუმ-ჩუმად აფხაზებიც შემოდიოდნენ სტადიონზე. ჩემთვის ძნელია ტკივილის გარეშე საუბარი იმ წლებზე, რომლებმაც ძალიან ბევრი შეძინა, თანაც არა მარტო როგორც ფეხბურთელს. თუმცა, მე მხოლოდ ორჯერ ვითამაშე „ცხუმის" შემადგენლობაში — ასაკის გამო ჩემი ადგილი ძირითადში ძნელი მოსაძებნი იყო. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. დაიწყო ის სამნელი ომი და ვის ეფეხბურთებოდა. მართალია, ხუთი თვე გუნდის აღდგენის იმედით ვცოცხლობდით, მაგრამ თურმე სულ ტყუილად. უსახსრობის გამო დავიშალეთ, და მგონი, მთელს ლუნას მოვედეთ. მე და ჩემი ძმა ზვიადი, რომელიც ახლა „სამტრედიაში" თამაშობს, ცხონებულმა გიგა ნორაკიძემ „ანცში" მიგვიწვია. თუმცა არც აქ გამიმართლა — აქაც პრობლემებმა იჩინა თავი, „ანციც" უფულობის გამო დაიშალა და ნოდარ აკობიძე „თეთრ არწივში" მიმიწვია. 1993 წელს, სეზონის წინ „შევარდენს" შევეურთდით და ასე მოვდივარ ღღემდე.

— თუ არ ვცდები, წლევანდელი ჩემპიონატის წინ გუნდიდან წასვლას აპირებდი...

— თითქოს უმნიშვნელო ტკივილები მაწუხებდა მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს თითქოსდა უმნიშვნელო ტკივილები იყო, თამაშის საშუალებას რომ არ მაძლევდა. ბუნებრივია, სტაბილურადაც ვერ ვთამაშობდი და სხვა გუნდში გადასვლაზე ვფიქრობდი. საერთოდ, ის სეზონი მეტად უიღბლო აღმოჩნდა ჩემთვის.

— რომელ გუნდში აპირებდი გადასვლას და რატომ დარჩი „შევარდენში"?

— კონკრეტულად და საქმიანად არცერთ კლუბთან არ მიმართია, რამდენიმეს წარმოადგენელს ვუსაუბრე ზოგადად. „შევარდენი" კი იმიტომ დავრჩი, რომ კარგი ბიჭები შეკრიბნენ, ჯანელიძეც მთამაშეს და, ჯფიქრობ, ჩემი ადგილი გუნდში ვიპოვე.

— მხოლოდ ეს არის იმის მიზეზი, წელს რომ უკეთ ითამაშდი?

— არამარტო ეს, ჩემ თავზე მეტს ვმუშაობდი. ვარჯიშებსაც გული დაკეოდ და თამაშიც წამივიდა.

— აჭამდე ზარმაცობდი?

— ...ალბათ. ვზარმაცობდი კიდეც, ტრავმებმაც თავისი ქნეს. თუმცა, არ მინდა ყველაფერი ტრავმებს დავაბრალო, უბრალოდ, ბავშვურად კედგებოდი საქმეს. ახლაც სანანევროდ ვერ ვამეღავნებ საკუთარ თავს. კლასისა და ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად ჯერ კიდევ დიდი შრომა დამჭირდება.

— ფიზიკური მომზადება მარტო შენი ნაკლი როდია...

— ამას გარდა შეტევების დაბოლოებაშიც მოვიკოჭლებ. თუმცა, ნაკლის მეტი რა მაქვს, გადაცემებსა და დარტყმებშიც ხარვეზი მაქვს.

— ნაკლი ნაკლადვე დარჩება, მათ გამოსწორებას თუ არ ეცადე...

— როგორ არ ვვარჯიშობ, თუნდაც იმავე მარცხენა ფეხით დარტყმაზე, პასების სიზუსტეზე. თუმცა, არ ვიცრუებ და საამისოდ ვარჯიშის შემდეგ სპეციალურად არ ვრჩები, საშუალებაც არ არის.

— ბულგარელებთან თამაშის შემდეგ ერთგვარი ჩავარდნა გქონდა. ხომ არ მოდუნდი?

— მას შემდეგ პირველად „დინამოს" ვთამაშეთ და მე თვითონაც უკმაყოფილო დავრჩი ჩემით. პირველ ტაიმში კალაძეს დავეჯახე და ათი-თხუთმეტი წუთი შეხვედრას გამოვეთიშე. ყვითლების გამო სამტრედიასთან და ფოთთან ვერ გამოვედი, ამის შემდეგ კი ბათუმთან გამიჭირდა კარგად თამაში. ბოლომდე დღესაც ვერ გამიგია, რა მოხდა. თუმცა, მოდუნებით ნამდვილად არ მოვდუნებულვარ.

— „შევარდენს" მოთამაშეთა არც თუ ისე ცუდი კრებული ჰყავს, მაგრამ ძალზე არასტაბილურად, ზოგჯერ კი ერთობ უსუსურადაც გამოიყურებით. პრინციპული თამაშებიდანაც ვერცერთი მოიგეთ...

— გუნდის სიძლიერე მარტო ფეხბურთელებით არ განისაზღვრება. ახალშეკრებილები ვართ და შეთამაშება ჯერ მოვასწარით. ჩემპიონატი, მართალია, კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი მატჩი წავაგეთ წამყვან გუნდებთან და ვითარებაც გაგვირთულდა. ყოველივე ამას გარკვეული პრობლემებიც დაემატა.

— რკინიგზის ხელმძღვანელობის შეცვლამ ხომ არ გაგიჩინათ ეს პრობლემები?

— ალბათ ეს იყო და ამან გუნდის მდგომარეობაზე იმოქმედა. თუმცა, ახლა ვითარება ნაწილობრივ გამოსწორდა.

— ბულგარელებთან შეხვედრისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს შენს გარდა ყველა დებიუტანტი იყო, არადა, საქმე პირიქით არის. შენ საკმაოდ ლაღად და უშიშრად ითამაშე.

— თამაშის წინ ჭეიშვილთან საუბარმა ერთგვარად განმშუტა. ვერ ვიტყვი, რომ არ ვნერვიულობდი. შეიძლება, ეს ამგვარ თამაშებში ყველა დებიუტანტს ახასიათებდეს. საერთოდ კი, მეტოქის წინაშე შიში არასოდეს მიგრძნია, „გრანდების კომპლექსი" არ მახასიათებს. „ცხუმი" ძლიერი გუნდი იყო, მაგრამ „დინამოსთან" ყოველთვის შებოჭილად თამაშობდა და თავის შესაძლებლობას ვერ ავლენდა. არადა, ზემოთაც ჩამოვთვალეთ, რა ბიჭები თამაშობდნენ მაშინ...

...ამ დროს (ჩვენი საუბარი დიღმის ბაზაზე შედგა) დამთავრდა „შევარდენი" — „დინამო-2"-ის შეხვედრა. ამ უკანასკნელის რიგებში გრიგოლ ცავამაც ითამაშა. მის დანახვაზე დავინტერესდი, იგი რას აპირებდა.:

— მე ზუსტად არ ვიცი, ისე კი, დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშა. კარგი ფეხბურთელობის გარდა კარგი პიროვნებაც არის. „ცხუმში" რომ ჩავირიცხე, სულ თავს დამტრიალებდა, მზრუნველობასა და სითბოს არ მაკლებდა...

— ისევ ბულგარელებთან შეხვედრას დავუბრუნდეთ.

— ეროვნულიგუნდის ფორმაში გამოწყობილი რომ გამოვედი და თანაც ჩვენი პ

გიზო ჭელაძე

იმნი შესრულდა, ვერ აგიწერ, იმხელა ძალა მომეცა. ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო. ბურთთან პირველმა შეხებამ კი დაბულობა საბოლოოდ მომიხსნა.

— ბურთთან პირველად შეხებისას გრძნობ, როგორ ითამაშებ?

— ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, იშვიათად, მაგრამ მაინც ყოფილა საპირისპირო შემთხვევებიც.

— საერთოდ, გაკვირდები, არასტაბილურად თამაშობ.

— ეს უფრო ასაკის ბრალია. მე ახე ვთვლი. ოსტატობა რომ დასახვეწი მქვს, ესეც შეიძლება მიზეზად მივიჩნიო.

— ბულგარელებთან შეხვედრის შემდეგ რომელიმე გუნდისგან თუ მიიღე მიწვევა?

— შეიძლება, ვინმეს კი სურს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამას თაობაზე ჩემთვის არაფერი უთქვამთ.

— შენი ძმის წინააღმდეგ თამაშისას თუ გრძნობ იმ აგრესიულობას, რაც, საერთოდ, მეტოქის მიმართ უნდა ახასიათებდეს მოთამაშეს?

— ზვიადის წინააღმდეგ მხოლოდ ერთხელ ვითამაშე, ისიც ამხანაგურ შეხვედრაში — შარშანდელი ჩემპიონატის დაწყებამდე თბილისში „შევარდენსა" „სამტრედიასთან" 4:4 ითამაშა. თუმცა, მაშინ ჩვენ ისეთ პოზიციებზე ვთამაშობდით, რომ ერთმანეთთან, ფაქტიურად, შეხება არ გვქონია — ის მარცხენა მცველი იყო, მე კი — მარცხენა ნახევარმცველი. მაგრამ მის წინააღმდეგ რომ შეთამაშა, ალბათ, მაინც მეტოქედ აღვიქვამდი, თუმცა, არა ჩვეულებრივ მეტოქედ. ახლა ხშირად მიწევს ძმაკაცების წინააღმდეგ გამოსვლა და ამის გულისთვის მოედანზე ვერ დავდგები. ბევრი შემიძლია თუ ცოტა, გუნდში მე ჩემი პოზიციის გამყარება მევალება და ვალდებულიც ვარ კარგად ვითამაშო. თუმცა... მეტოქეობას ნამდვილად მირჩევნია ერთ გუნდში გამოვდიოდეთ. სურვილი მაქვს, მაგრამ შესაძლებლობა — არა. რაც 1993 წელს „ანციდან" წავედით — მე „შევარდენში", ის კი „სამტრედიაში", მას შემდეგ ორივე ერთად თამაშზე ვფიქრობთ. ჯერ-ჯერობით არ გამოდის. შემდეგ ვნახოთ. ოლიმპიურში ხომ მაინც გვიცავა ერთი ფერის მაისური.

— სისწრაფის გასაუმჯობესებლად საგანგებოდ ვარჯიშობ თუ ბუნებრივად ხარ ასეთი სწრაფი?

— ეს უფრო თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ წელს, ზამთარში ლისის ტბაზე ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი და ეტყობა ამანაც დიდი სამსახური გამიწია.

— შენი პოზიციის ფეხბურთელებიდან რომელს გამოარჩევ?

— აიაქსელ ჯორჯ ფინიდის. ძალიან დიდ სიამოვნებას ვიღებ მისი თამაშის ცქერისას. მწვავედ უტევს, დიდ სამუშაოს ასრულებს, ბურთს მშვენივრად ფლობს და, რაც მთავარია, ძალზე შედეგიანია.

საერთოდ, „აიაქსი" ჩემი ოცნების გუნდია. მიყვარს მისი შემტევი ფეხბურთი, ბურთის ფლობა ამ გუნდში სულ სხვა დონისა აქვთ, სტანდარტულ ფეხბურთს არ თამაშობენ. ისიც მომწონს, რომ „აიაქსში" გამორჩეული და ხშირად მეტოქისთვის გაუგებარი ტაქტიკით თამაშობენ, რაც მოწინააღმდეგეს ხშირად აბნევს.

— წარმოიდგინე, ზლაპარი აცხადდა და ლუიის ვან გაალი „აიაქსში" გიწვევს...

— ამას რა დაფიქრება უნდა? ხომ ვთქვი, „აიაქსი" ჩემი ოცნების გუნდია-მეთქი. კლასსაც ავიმაღლებ, ოსტატობასაც დავხვეწ და თანაც მთავარი — „აიაქსის" მაისურს მოვირგებ...

— ბევრი სპეციალისტისგან მსმენია, სწრაფი მოთამაშეები მოედანზე ნაკლებად ფიქრობენო.

— შეიძლება გარკვეული სიმართლე იყოს ამ ნათქვამში, მაგრამ მაინც არ ვეთანხმები. ღღეს ისეთი მოთხოვნებია ფეხბურთში, რომ წამები წყვეტს თამაშის ბედს, ამ დროს ფიქრის დროს ვინ დაგიტოვებს? ყველაფერი უმალ უნდა გადწყვიტო.

...სოხუმელი კაცისთვის, მით უმეტეს, მისი ყოფილი მოთამაშისათვის, „ცხუმი" ისეთი თუმაა, რაზეც არ უნდა ისაუბრო, ბოლოს მაინც „ცხუმს" დაუბრუნდება. რამდენჯერ ყოფილა ლაპარაკი გუნდის აღდგენაზე, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკადვე დარჩა. მახსოვს, გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე ბატონ გიგა ნორაკიძეს შევხვდი. დიდხანს მესაუბრა „ცხუმის" აღდგენაზე, თითქოს მთავრობის დახმარების იმედიც გამოჩნდა, ფეხბურთის ფედერაციაც ამ საქმეს მხარს უჭერდა. ვნახოთ, რა გამოვა, დაზუსტებით მაინც ვერაფერს ვიტყვი. ასე გაჯანჯლდა ეს საქმე. არადა, წარმოიდგინეთ გუნდი, სადაც ითამაშებდნენ მიშა ჯიმკარიანი, გოჩა გოგრიჭიანი, გრიგოლ ცავა, გიორგი ჩიხრაძე, გიორგი გოგიაშვილი. ძმები ჯელაძეები, ჩინეთში გაწმპაინებული მეკარე გონა ეორეულიანი... ყველას ჩამოთვლას ვერც მოვახერხებ. თანაც, ცნობილი ამბავია, კვიპროსის ჩემპიონატში თურქების მიერ დაპყრობილი ქალაქ ფამაგუსტას სახელით ასპარეზობს გუნდი „ანორთოსისი". იქნებ ასე მაინც აღდგეს „ცხუმი"... თუმცა, როგორც ჩანს, ამ იმედს უახლოეს მომავალში ასრულება არ უწერია. ამაზე ტკივილით მესაუბრებოდა გიზო:

— „ცხუმის" სახელით თამაში იმ გუნდის ყველა ყოფილი მოთამაშის ოცნებაა, მაგრამ უფულობას რა მოეუხერხოთ? გუნდის შექმნას ხომ დიდი ფული უნდა, ან კიდევ სად ვივარჯიშებთ, სად ვითამაშებთ? მე „შევარდენთან" დადებულ კონტრაქტში მიწერია, რომ „ცხუმის" აღდგენის შემთხვევაში მას დაუყოვნებლივ უნდა დავუბრუნდე. ნეტა ასე მოხდეს, და როგორ არ დავუბრუნდები.

მერაბ მამულაშვილი

ქართველები უკვე გახდნენ რუსეთისა და ჩინეთის ჩემპიონები, არაა გამორიცხული, მალე თურქული კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც შედგნენ. ვინც თვალყურს ადევნებს „სარბიელს", მისთვის აღმოჩენა არ უნდა იყოს ზემოთქმული. „ტრაბზონი" ახლა მყარად მკვიდრობს პირველ ადგილზე და „ფენერბაჰჩეს" ორი ქულით უსწრებს. არველაძეები კი კვლავაც საუკეთესონი არიან. სექტემბერ-ოქტომბრის საუკეთესო ფეხბურთელად არჩილი ულიარებიათ, შოთა კი მეცამეტე ტურის საუკეთესო მოთამაშე გამხდარა და მედიასაც უმალ დაუფასებია — დიდი ფერადი პლაკატი გამოუშვიათ...

გურჯაებისა გეშინოდეს, ისთანბულ!

— პლაკატს რომ დავხედე, ხარხარი ამიტყდა — მიყვება არნილი — შოთა ისეთ პოზაშია გამოსახული, ძალაუნებურად ცნობილი ქართული შულტფილმის ჰერსონაჟის ცნობილი ფრაზა გაგახსენებდა: „მარტო ვმუშაობ და ამა რა ვიცი, როდის იქნება მზად..."

— შოთა მართლა მარტო მუშაობს?

— ისე, ცოტას მეც ეუხმარები, მის ცხრა გოლს ექვსიც მე მივუმატე. თანაც ყველა გადამწყვეტი გოლები. თუ კვეხნაში არ ჩამომართმევ, ჩემი მოცულობისთვის დანიშნული რამდენიმე პენალტი და სამიოდე საგოლე პასიც რომ მივთვალო, „ტრაბზონის" წარმატებაში ჩემი ჰატარა წვლილიც იქნება.

— თავად შოთა როდის ჩამოვა?

— დღეს ველოდებით, სტამბოლშია რაღაც საქმეზე...

— შოთას ბომბარდირობის ამბავი უკვე ვაუწყეთ „სარბიელის" კითხველთ. კვალში ვინ უდგას?

— უელსის ნაკრების ნახევარმცველმა სონდერსმა „გალათასარაიდან" 8 გოლი გაიტანა, მაგრამ აქედან სამი — პენალტით. შოთას კი ჯერ ერთი პენალტიც არ დაურტყამს.

— წელს ჩემპიონობა კი დაგეგმეთ, მაგრამ შენი, როგორც საქმეში ჩახედული კაცის აზრით, რამდენად ხელგეწიფებათ იგი?

— ძირითადი კონკურენტი „ფენერბაჰჩე" იქნება. ახლაც კვლაში მოგვკვდა. პირველი წრის ბოლოსწინა ტურის ჩვენი და მათი შეხვედრა, რომელიც 3 დეკემბერს სტამბოლში გაიმართება, ბევრს გადაწყვეტს.

— სტამბოლელ გულშემატკივართა გუგუნი ბევრმა გუნდმა იწვნია და ბევრსაც მუხლები აუკანკალა. თქვენ არ გეშინიათ?

— თუ გგონია, რომ ჩვენ ნაკლები გულშემატკივარი გვეყოლება „დოლმაბაჩეს" 30-ათასიან სტადიონზე, ძალიან ცდები. 12-მილიონიან სტამბოლში რამდენიმე მილიონი ტრაბზონელი ცხოვრობს. ამათ კი წესად აქვთ — ყველა ტრაბზონელი გულშემატკივარი უნდა იყოს და „ტრაბზონსფორს" ყველგან უნდა უქომაგოს. ამიტომაცაა, რომ მთელს თურქეთში ყველაზე მეტი გულშემატკივარი სწორედ ჩვენს „ტრაბზონსფორს" ჰყავს. რომელ ქალაქში თუ ქვეყანაშიც არ უნდა გადასახლდეს ტრაბზონელი, იგი მაინც ჩვენი კლუბის ქომაგად რჩება.

— თურქებმა კონტრაქტის გაგრძელებაზე ხომ არ ჩამოგიდეს სიტყვა?

— სულ მაგას არ გველაპარაკებიან?! მზად არიან ზუთი, ის კი არა, ათწლიანი კონტრაქტებიც შემოგვთავაზონ.

— ჭემალ ჩიმაკაძის ავადმყოფობის შემდეგ ისევ გავიგე, რომ მომჭობინებულა და ტრაბზონში ჩამოსულა. ახლა როგორ არის?

— მადლობა ღმერთს, გამოჯანმრთელდა, მთლად ის ძველი ჯემალი ვერ არის, მაგრამ იმდენად მომჯობინდა, რომ ესპანეთში „დეპორტივოსთან" თან გვახლდა...

— მერე, ეგრე უნდა მავშვობის მწვრთნელის დაფასება, 0:3 რომ წაგეთ?

— ეეჰ, ამ თამაშში ჯემალ ჩიმაკაძე კი არა, მგონი, მამაზეციერიც ვერ გვიშველიდა. რატომ 0:10 არ წავაგეთ, ძალიან მიკვირს — ჩვენმა მეკარემ, ნიკითმა ითამაშა ძალზე ძლიერად და აუღებელი ბურთებიც აიღო.

— თქვენ არ გქონდათ გოლის გატანის შანსი?

— გოლის გატანის შანსი კი არა, მათი კარისკენ ერთადერთი დარტყმა შესრულდა, ისიც შოთამ მოახერხა.

— ბებეტო როგორ მოგეწონათ?

— ზლაპრული ფეხბურთელია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მან და შოთამ ისე „გაუგეს" ერთმანეთს, ვინ არ ეხვეწა ბებეტოს, მაისური გამიცვალეო, მან კი კარგა ხანს ეძება შოთა და ჩუნჯიც შედგა. ძმებივით ჩაეხვევნენ ერთმანეთს და ქების სიტყვები უძღვნეს.

— პირველ მატჩშიც ესპანელებს ჭქონდათ უპირატესობა?

— პირველ მატჩში კი შემთხვევით წავაგეთ. მეც უნდა შემეგდო, შოთამაც ნაღდი მომენტი გაიცუდა, გატანილი გოლიც არ ჩაგვითვალეს. ამით კი კუთხურიდან შეაგდეს. ჩივაძე იყო ამ თამაშზე ჩამოსული.

— „ისთანბულსფორმა" ჰოლანდიელი ბეენჰაკერი რად გაგდო?

— თამაში ვერ მოიგეს. ეტყობა, თურქეთს სხვა სპეციფიკა აქვს, თორემ რა საეჭვო ბეენჰაკერის კვალიფიკაციაა. მის გუნდში მარტო ვან ფოსენი გამოირჩეოდა, დანარჩენები თავზაბნეულები დარბოდნენ. ვანსაკუთრებით დაცვის ხაზი ჰყავდათ სუსტი და თამაშებსაც ამიტომ აგებდნენ.

— კვლავაც სამი თავდამსხმელით თამაშობთ?

— ასე ვართ და შედეგიანობამაც იმატა.

— სხვა კლუბებში ხომ არ გიწვევენ?

— სხვა კლუბებიც და სხვა ქვეყნებიც, ოღონდ თუ არ გეწყინება, ჯერ არას კიტყვი...

— ფურჭებმა ჩვენი ნაკრების ბულგარეთთან მოგება როგორ აღიქვეს?

— ჩვეულებრივად, დიდი ემოციები არ გამოუხატავთ.

— მოლდოვასთან პირველ მატჩში წაგება, შენი აზრით, რისი ბრალი იყო?

— ადრეც მითქვამს, მხოლოდდამხოლოდ უიღბლობის გამო წავაგეთ. განა მოლდოვა ამ დონის გუნდი იყო, რომ ჩვენთვის შინ მოეგო?

— განმეორებით მატჩზე რას იტყვი?

— ამბავი ბოლმა გვიდევს, რომ უეჭველად უნდა მოვეგოთ. ამით დავამტკიცებთ, რომ თბილისში წაგება მართლაც შემთხვევითი იყო.

— კარგა ხანია, ლაპარაკია „ძველი „დინამოს" ისევ შეკვრის შესახებ. ისევ ჩამოხვალთ თბილისში?

— თბილისი ჩვენი ქალაქია, ჩვენ ხომ ყველამ მოვალეობა გვაქვს, რომ, თუ „დინამოს" ჩემპიონთა ლიგაში მოსვლის შანსი გაუჩნდა, ყველანი დავბრუნდებით. ჩვენი ოცნება ხომ სავსე და აგუგუნებულ „დინამოს" სტადიონზე თამაშია...

მამუკა კვარაცხელია

ხელები შორს ფეხბურთისგან!

ახლოვდება ევროსასამართლოში „ბოსმანის საქმის“ განხილვის დღე. ვექილმა კარლ ოტო ლენცმა ფეხბურთელის და კლუბის კონფლიქტიდან ისეთი საერთაშორისო სკანდალი გამოიგონა, რომ ახლა ყველა მას და იმ 18 მოსამართლეს მისჩერებია, ევროპული ფეხბურთის ბედს რომ წყვეტენ. საკუთრივ საქმის არსზე აღარ შევჩერდებით, რადგან „სარბიელში“ მის შესახებ იმდენჯერ დაიწერა, თუ კაცი ამ გაზეთს დღეს პირველად არ კითხულობს, ამ საქმისა ლამის თავად ბოსმანზე უკეთ უნდა იცოდეს. ეს იურიდიულად ჩახლართული ამბავი რომ მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს არ აღელვებს, ოთხშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშიც გამოჩნდა, სადაც ამ ორგანიზაციის იურიდიული სამსახურის გამგემ ლევან გორხელაშვილმა პრეს-კონფერენცია გამართა. ბატონმა გორხელაშვილმა შეკრებილთ თანმიმდევრულად და დალაგებით კიდევ ერთხელ შეახსენა საქმის არსი და განმარტა თუ რატომ მოპყვება ცუდი შედეგები სასამართლოში ლენცის შესაძლო გამარჯვებას. მან თქვა, რომ ტრანსფერთა არსებული სისტემა მცირე კლუბებს საშუალებას აძლევს ფეხბურთელის გაყიდვით ირჩინონ თავი. თუ ამ სისტემას მოშლიან, ქართულ ფეხბურთს ფულის მოთხოვნა ისევ ისედაც მძიმე დღეში მყოფი სახელმწიფოსთვის მოუნევს. ბატონმა ლევანმა თქვა ასეთი ფრაზა: „ფეხბურთი როგორც სახეობა მოკვდება“. მან ილაპარაკა გაუთვალისწინებელ სოციალურ შედეგებზეც, კერძოდ, მისი თქმით, შემოსავლის გარეშე დარჩენილი კლუბები ვეღარ დააფინანსებენ ბავშვთა სკოლებს და მრავალი ბავშვი ქუჩის ამარა დარჩება. იურისტმა დაიცვა აგრეთვე სისტემა 3+2, ანუ უეფას კანონი კლუბებში უცხოელთა ლიმიტის შესახებ. მოგეხსენებათ, რომ ევროპაში ნებისმიერ გუნდს აქვს უფლება მოედანზე ერთდროულად ჰყავდეს სამი „ნაღდი“ და ორიც ისეთი უცხოელი, რომელსაც ამ კლუბში ხუთი წელი უთამაშია. ასეთი, მაგალითად, „ბარსელონაში“ კუმანი იყო და მისი სტოიჩკოვთან, რომარიოსთან და ლაუდრუპთან ან პაჯისთან ერთად მოედანზე ყოფნა ლიმიტის გადაჭარბებად არ ითვლებოდა. შეგახსენებთ, რომ აქ საუბარია მოედნაზე მყოფ უცხოელთა ლიმიტზე, თორემ ისე ვისი რა საქმეა, ესა თუ ის კლუბი რამდენ უცხოელს დაუდებს კონტრაქტს და ხელფასს გადაუხდის. ქართველი იურისტის თქმით, ეს კანონი იცავს ფეხბურთის ეროვნულობას, კერძოდ, არ მოხდება ისეთი რამ, ერთხელ ცნობილმა ქართველმა კომენტატორმა ნუგზარ ჯუღელმა კალათბურთის ტრანსლიაციისას რომ თქვა: დერიუგინმა ბურთი მიაწოდა კაპუსტინს, ამან ოპოშნიანს, ამან ბოროდაჩოვს, ამან მილოვიდოვს, რომელმაც ისროლა, ჩაადო და ქართველმა კალათბურთელებმა ორი ქულა მოიპოვესო. გორხელაშვილის აზრით, მაასტრიხტის ხელშეკრულებაში შესატანია შესწორება, რომლის მიხედვითაც სპორტი და ეკონომიკა სხვადასხვა პრინციპებს დაექვემდებარება, რამეთუ თუ ევროკავშირი ცდილობს ეკონომიკურ საკითხებში საზღვრები მოშალოს, სპორტში ეს არაფრით შეიძლება.

უეფა, მოგეხსენებათ, აერთიანებს როგორც ევროკავშირის წევრ, ისე არაწევრ ქვეყნებს, თავადაც შვეიცარიაშია და ამდენად მასზე კავშირის წესები ვერ იმოქმედებენ. ამგვარად სასამართლოს გადაწყვეტილებამ შესაძლოა არეულობა გამოიწვიოს. ამასთან დაკავშირებით, უეფას წევრი ფედერაციების 49 პრეზიდენტმა დაწერა კოლექტიური წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ:

ჩვენ, ევროპის 49 ქვეყნის ფეხბურთის ეროვნული ასოციაციების პრეზიდენტები, იძულებულნი ვართ დავწეროთ ეს ღია წერილი, რადგან ევროგაერთიანების სასამართლის გენერალური ადვოკატის კარლ ოტო ლენცის დასკვნის გამოქვეყნებას ბოსმანის საქმის შესახებ ბევრი არასწორი კომენტარი მოჰყვა. ჩვენ ასევე შეშფოთებულნი ვართ იმ წინადადებებით, რომლებიც ეხება ტრანსფერების იმ პუნქტს, რომლითაც მოთამაშეს ეკრძალება ითამაშოს თავისი გუნდის ეროვნულ ნაკრებში (წესი 3+2). ჩვენი აზრით, ევროპის ქვეყნების მოსახლეობას და ხელისუფალთ ნათლად აქვთ წარმოდგენილი, რა სერიოზული უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ევროპაში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობას ამ წინადადებებით.

პრინციპში, ტრანსფერების სისტემა კარგად მოქმედებს, რაზეც მეტყველებს ათასობით გადასვლა, რომლებიც მთელს მსოფლიოში ხდება, ცოტაოდენი სირთულეებით ან მათ გარეშე. ბ-ნ ბოსმანს სირთულეები ტრანსფერთა სისტემის გამო კი არ შექმნია, არამედ იმის გამო, რომ ბელგიური კლუბი არ ასრულებდა იმ პუნქტს, რომელიც გადასვლას ეხება. შესაძლოა, ტრანსფერების სისტემას შეცვლა ესაჭიროება; ახლა ეს განიხილება ფეხბურთელთა პროფკავშირში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სისტემა მთლიანად უნდა გაუქმდეს.

გენერალური ადვოკატი მიიჩნევს, რომ ტრანსფერთა სისტემა წარმოადგენს საფონდო ხარჯების ცირკულაციას დიდი და მდიდარი კლუბებიდან პატარა სამოყვარულო კლუბში. საქმის გადაწყვეტა, რომელსაც კარლ ოტო ლენცი გვთავაზობს, კონკრეტულად კი — სახსრების უანგაროდ გადანაწილება, უბრალოდ განუხორციელებელია. ეს სახსრები, რომლებიც საერთაშორისო და ეროვნული ასოციაციების ანგარიშზეა და ტელევიზიიდან, სპონსორებიდან და საერთაშორისო მატჩებიდანაა შესული, უკვე ყველა დონეზეა განაწილებული, მაგრამ ეს საკმარისი არაა პატარა და საშუალო კლუბებისათვის ფინანსური მხარდაჭერის აღმოსაჩენად. ეს კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ყველა ქვეყნის მდიდარმა კლუბმა. უნდა გადარიცხოს შემოსავლის დიდი ნაწილი პატარა და საშუალო კლუბების სასარგებლოდ, არარეალურია.

წესი 3+2 იმის გარანტიას იძლევა, რომ ექვსი მოთამაშე იმ ქვეყნის მოქალაქეა, რომელსაც გუნდი ეკუთვნის. ეს იმის გარანტიასაც იძლევა, რომ რამდენიმე მდიდარი კლუბი ვერ მოაწერს კონტრაქტზე ხელს ევროპის ყველა საუკეთესო მოთამაშესთან. ეს ზომები გატარდა სპორტული მოსაზრებით შეუჯიბრებების კრაგ დონეზე ჩასატარებლად და ეროვნული ნაკრებების მომავლის დასაცავად. რა თქმა უნდა, ეს დიდი მოთხოვნა არაა. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კლუბები შეზღუდულნი არ არიან, გააფორმონ კონტრაქტები სხვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებთან. წესი 3+2 ეხება მინდორზე გასული გუნდის შემადგენლობას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთივე ან ინდივიდუალური წესები გამოიყენება სპორტის საკლუბო სახეობებში მთელს მსოფლიოში ანალოგიურ მიზეზთა გამო.

ამ წესების გაუქმებას შეიძლება შემდეგი შედეგები მოჰყვეს:

1. დღემდე გაერთიანებული ევროპის ასოციაციები გაიყოფიან ორ ჯგუფად და გამოიყენებენ ორ სხვადასხვა სისტემას. ევროპის ასოციაციები, რეალურად, დანარჩენ მსოფლიოსგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

2. უფსკრული მცირეოდენ მდიდარ კლუბებსა და სხვა გუნდებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება. ასობით პატარა და საშუალო კლუბი შეწყვეტს არსებობას, თანაც, უკეთეს შემთხვევაში, დონე დაუქვეითდებათ და ნახევრადპროფესიულები ან სამოყვარულოები გახდებიან.

3. შემაშფოთებელია ისიც, რომ პატარა და საშუალო კლუბები, მოტივაციის არქონის გამო, უარს იტყვიან თავიანთი ახალგაზრდული გუნდების შენახვაზე. კვალიფიციური მწვრთნელების გარეშე დარჩენილი ახალგაზდა მოთამაშეები, რომელთაც საფეხბურთო ოსტატობის დახვწის შანსი მოესპობათ, მიატოვებენ ფეხბურთს და აღმოჩნდებიან ქუჩაში, ყველა აქედან გამომდინარე სოციალური შედეგით.

ფეხბურთი არა მხოლოდ დიდი კლუბები და ვარსკვლავები, არამედ ათასობით კლუბი და ათიათასობით ფეხბურთელია.

ჩვენ, ევროპის 49 ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციების პრეზიტდენტები, რომლებიც წარმოვადგენთ ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებს, მივმართავთ მოწოდებით საზოგადოებრივ აზრს იმედით, რომ ეს შემთხვევა არ გახდება ის ეფექტური სისტემების გაუქმების საბაბი, რომლებიც ევროპული ფეხბურთის კეთილდღეობას ემსახურებიან. თავისი ძირითადი პრინციპების ერთგულებასთან ერთად ევროკავშირმა პატივი უნდა სცეს სხვათა უფლებასაც — მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, რომელნიც ამა თუ იმ ქვეყნის სპორტული და კულტურული თავისებურებებითაა განპირობებული. ეს არის ევროპის სიმდიდრე, რომელიც არ უნდა შთანთქას უბრალო ეკონომიკურმა გაანგარიშებებმა.

ბობი გოლდი

მაიკ სმიტმა ვერ ივარგა. მისეულმა უელსის ნაკრებმა შინ თუ გარეთ თითქმის ყველა მატჩი წააგო და, ცხადია, მოხსნეს. მის შემცველად უელსური ფეხბურთის თავკაცებმა ბობი გოლდი დანიშნეს. საქართველოს ყოფილი მეტოქის ახალ მწვრთნელს ესაუბრა „უორლდ სოკერის“ კორესპონდენტი, რომელიც შესავალში წერს, რომ გოლდის ამ თანამდებობაზე დანიშვნა ქომაგთათვის დიდი სიურპრიზი, ის კი არა, შოკი იყო. ავტორის თქმით უელსის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილება სიამოვნებით მხოლოდ მათ მიიღეს, ვისაც ერთხელ მაინც უსაუბრია მწვრთნელთან. მისი ენთუზიაზმი გადამდები ყოფილა. ასოციაციის წევრებიც კი აუყოლიებია და მათაც გოლდისთვის ყველა მოთხოვნა შეუსრულებიათ — უხელმძღვანელე როგორც გინდოდესო.

კაცი, რომელიც მომავალს ხედავს

— ტაქტიკური გეგმა შემუშავებული გაქვთ?

— ვამკვიდრებ ასეთ სისტემას — ორ მცველს უკან ლიბერო, ნახევარდაცვაში კი ხუთი ფეხბურთელი. თავიდან მოლდოველებთან შეხვედრისას, შესვენებაზე შევიტანე კორექტივები. აწი ამ სისტემას დავხვწავ. უელსელებს ბევრი უმაღლესი კლასის თავდამსხმელი გვყავს, მაგრამ ახლა ჩვენი ამოცანა მსოფლიო დონის დაცვის შექმნაა. კიტ საიმონსი „მანჩესტერ სიტის“ 2 მილიონი გირვანქა დაუჯდა, კოულმენს „არსენალი“, „ასტონ ვილა“, „კრისტალ პალასი“ და „ტოტენჰემი“ ეაატიებდნენ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ „რიდინგის“ აღრიან ვილიამსის შეძენა სურდა. ასე რომ, ჩვენი მცველების ნიჭი 10 ათას გირვანქამდე ღირს.

— უელსი ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ვერ მოხვდა. ქვეჯგუფის დარჩენილ თამაშში ქულებისთვის ბრძოლას აზრი აღარ აქვს?

— ჩვენ ქულები გვჭირდება, რათა შეძლებისდაგვარად უკეთესი რეიტინგი მოვიპოვოთ და დეკემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრაზე განთესილთა უკეთეს ჯგუფებში მოვხვდეთ. გარდა ამისა იმ ახალ ფეხბურთელთა მიზიდვას შევეცდებით, რომელთაც უელსთან ასე თუ ისე კავშირი აქვთ და შეიძლება მათ „გაუელსელებაზე“ ფიქრი. მაგალითად, ასეთია მატ ლეტისიე და სანამ ინგლისელებს თავიანთ ნაკრებში უეფას ან ფიფას რომელიმე შეჯიბრებაში არ გამოუყვანიათ, ჩვენი კარი მისთვის ღიაა. ახლა ამ საკითხით ვარ დაკავებული, 51 ფეხბურთელის სია მაქვს. მათ უელსის ნაკრებში თამაშის შესახებ აუცილებლად დველაპარაკები. მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატი მათთვის დიდი ცდუნება იქნება. ჩემს სიაში არიან „ქვინზ პარკ რეინჯერსის“ ენდი იმპი, „ნოტინგემ ფორესტის“ სტივ სტოუნი და „ევერტონის“ ჯო პარკინსონი. მე ძლიერ კმაყოფილი ვარ იმით, რაც 21 წლამდე, 18 წლამდე და უმაღლეს დონეზე ჭნახე.

— ნაკრების წევრები ძირითადად პრემიერლიგაში თამაშობენ, მაგრამ ბევრი უელსელი ინგლისის პირველ დივიზიონშიც გამოდის. შეკრებების დროს კლუბებიდან მათი განთავისუფლება გვარიანი პრობლემა იქნება. ამ მხრივ რაიმე ღონეს თუ იხმართ?

— აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ჩემს ფეხბურთელებს მატჩისწინა ხუთდღიან შეკრებებზე აუცილებლად, უყოყმანოდ გამოვიძახებ. ბევრი რამ შეხვედრის მნიშვნელობაზე იქნება დამოკიდებული. სიტყვას მნიშვნელოვნება მარტო ქულათა მოპოვების თვალსაზრისით არ ვამბობ, მატჩი შეიძლება ჩემი გეგმების თვალსაზრისითაც იყოს მნიშვნელოვანი.

— წვრთნის თქვენეულ მეთოდებს ნოვატორულს უწოდებენ...

— ჩემი დოქტრინა ურთიერთობებზეა აგებული და ფსიქოლოგიას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. სატუმროში იან რაშს ლი ნოგანთან, ჯონ პართსონს მარკ პიუზთან და ასე შემდეგ ვანაწილებ, თანაც ერთმანეთთან საუბარს ვავალებ. იანს ვუთხარი, ლის წარსულ შეცდომებზე ელაპარაკე მეთქი, ლის ვთხოვე, იანისთვის ეთქვა, მისი რა თვისება აღფრთოვანებს. გამოცდილების ამგვარი გაზიარება მერე მოედანზეც გადადის და უმაღლეს გუნდურ სულისკვეთებას აყალიბებს.

— რიან გიგზი ხასიათით მოკამათეა. რას იღონებთ მის შეკრებაზე ჩამოსაყვანად?

— მისი ტრაგმა ერთობ პრობლემური გამოდგა და მკურნალობა გვარიან დროს ითხოვს. ჩემს თავზე მაქვს ასეთი რამ გამოცდილი და ვიცი, რამდენად ცუდია. წარსულში წამოჭრილი ბევრი პრობლემა კი შესაბამისი ურთიერთობებისას არც წამოყოფდა თავს. ის ახლა „იუნაიტედში“ კარგად თამაშობს. იმედია, რომ კლუბსაც გამოადგება და ნაკრებსაც. იმის თქმა არ მინდა, რომ ნაკრების თამაშს გიგზის მიხედვით ავაგებ, მაგრამ ალექს ფერგიუსონი დამპირდა, შეკრებებზე თუკი მოითხოვ, გამოვუშვებო. მჯერა, რომ პირს არ მიტეხავს.

— თქვენ ბრძანეთ, გაისად, წლის პირველ ნახევარში ამხანაგური შეხვედრების ჩატარება მეტად მნიშვნელოვანი საქმეაო. კონკრეტულად რას გეგმავთ?

— გამოვიყენებ ჩემს კონტაქტებს შვეიცარიასა და ნორვეგიაში, რათა უმაღლესი დონის ოპონენტებს შევხვდეთ. ორივე გუნდი ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე მოხვდება და, ვფიქრობ, ჩვენი მხრივ მათ კარგ გამოცდას მოვუწყობთ. ტერი ვენეიბლზი არ მიიღებს ჩვენს წინადადებას, რადგან ინგლისელთა კარდიფში თამაშს პოლიციის საგანგებო მზადყოფნა სჭირდება, მაგრამ აქაც არის გამოსავალი — „უემბლიზე“ ვითამაშოთ, ბოლოს მათ 1984 წელს შევხვდით, მაშინ მარკ პიუზმა გამარჯვების გოლი გაიტანა. ჩვენ სადაც გინდათ იქ ვითამაშებთ, არათრის [illegible]ნია. მე ჩემი ვთქვი, ახლა ჯერი ტერიზეა.

— ქვედა დივიზიონებზე რას იტყოდით?

— ჩემი გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია საკუთრივ უელსში ინფრასტრუქტურის ისე მოწყობა, რომ ტალანტები აღზარდონ. უელსის ლიგას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ამ ლიგიდან ბევრი ფეხბურთელის ყოლას ვისურვებდი. აღრე ახალ ვარსკვლავთა აღმოჩენაზე ვმუშაობდი, მაგრამ ახალმა ვარსკვლავმა სადმე ხომ უნდა დაიწყოს. ყველა ლიგას დრო უნდა, დიდ ლიგად რომ იქცეს. უელსის ლიგა გამონაკლისი არ არის.

— უელსის ლიგა ევროთასებზე გასვლისთვისაც ხომ იქნება მნიშვნელოვანი.

— ჩემი ძველი მეგობარი ჯონ ემანუელი „ბრისტოლ სიტის“ ედგა სათავეში, როდესაც მე „ბრისტოლ როვერსს“ ვწვრთნიდი. ინტერტოტოს თასზე თამაშის მერე მას დავურეკე. იგი საოცრად კმაყოფილი იყო. მისმა მოთამაშეებმა მხოლოდ გამოცდილება როდი შეიძინეს, მათ ახლა ევროპულ შეჯიბრებებზე მოსაგონარიც აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ უელსური გუნდები მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ, რათა უეფას თასზე მოხვდნენ. უელსის ლიგის მატჩები არ მინახავს, მაგრამ ვნახე „ოფან ლიდო“, რიგის რაფ-ს რომ ხვდებოდა. დიდებული სანახავი იყო რაგბის სტადიონზე შეკრებილი 2 ათასამდე ქომაგი, ფეხბურთს რომ უყურებდა.

ინგლისურიდან თარგმნა
პაპუნა კედია

ბებრები დაგვიბრუნდნენ

ამბერკი ტაბიძე

ამირან კომახიძე

ვერა და ვერ მოხერხდა ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის დათქმულ ვადაში დაწყება. არადა, ოქტომბრის დამდეგს ერთი წრის თამაშები ევროთასებზე წამსვლელ გუნდებისათვის მშვენიერი გავარჯიშება იქნებოდა. მაგრამ სწორედ ევროპაში გასვლისწინა სამზადისი შეიქნა ჩემპიონატის გადავადების მიზეზი: ორგანიზაციულ-ფინანსური ფაციფუცით დაკავებულმა მწვრთნელებმა უპრიანად ჩათვალეს, პირველ რიგში საგარეო საქმეები მოგვარებინათ. ასე რომ, რიგით მეექვსე ეროვნულ პირველობას ამჯერადაც ნახევრად ცივ ნოემბერში მოუხდა სტარტის აღება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება: თავიდან გათვალისწინებული 6 წრე მწვრთნელთა უმეტესობამ გაჭიანურებულად ჩათვალა და ჩემპიონატის პროგრამაც ოთხ წრემდე შეიკვეცა. ამით თითოეულ გუნდს სულ ოცი თამაშიღა მოუწევს, რაც მთელი სეზონისთვის, ჩვენი აზრით, ერთობ ცოტაა.

წელსაც 6 გუნდი იასპარეზებს. სხვადასხვა მიზეზთა გამო არ გამოდის წინა პირველობის ვერცხლის პრიზიორი სამტრედიის „მიმი“. სამაგიეროდ, ორი გუნდი გამოიყვანა თბილისის განათლების სამმართველოს ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპეციალიზებულმა სკოლამ — საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები (დიდი „მართვე“) და უმცროსი „მართვე“. 17-18 — წლიანთა ნაკრებს გაისად თანატოლთა ევროპულ ჩემპიონატში მოუწევს გამოსვლა. ამდენად, შინაურ პირველობაში მათი ჩაბმა სათამაშო პრაქტიკის შეძენის მშვენიერი გზაა. თანაც, ცხადია, გაცილებით სჯობს ერთმანეთში ყოველდღიურ ვარჯიშს. ნაკრები მნიშვნელოვნად გაძლიერა უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენიდან“ გია ქობელაშვილის, აგრეთვე მეკარე გიორგი ბუტაკაშვილის გადასვლამ.

ჩემპიონს კი ქობელაშვილის გარდა სეზონის წინ არავინ დაკლებია, ხოლო ტიტე კალანდაძის სახით ისეთი შევსება მიიღო, ნებისმიერ გუნდს შეშურდება. ტექნიკოსთა ძირითადი შვიდეულის ყოველი მოთამაშე ეროვნული ნაკრების წევრია, ასე რომ, მათ ალბათ წელსაც ვერავინ გაუწევს კონკურენციას პირველობისათვის ბრძოლაში. თუმცა, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ „მიმიდან“ თავისი ყოფილი წევრების დაბრუნებით დიდად გაძლიერდა „დინამო“ (ყოფილი „ამირანი“). მაგრამ, გუშინწინ სპორტკომპლექს „იმედის“ დარბაზში დაწყებული ჩემპიონატის პირველ დღეს დინამოელთა განახლებული შემადგენლობა საქმეში ვერ ვიხილეთ, რადგან ფოთის „ოქროს ვერძთან“ მათი შეხვედრა არ შედგა ზღვისპირელთა ჩამოუსვლელობის გამო.

„ოქროს ვერძს“ წაგება ჩაეთვალა ანგარიშით 0:10, პირველ დღის დანარჩენ ორ მატჩზე კი ქვემოთ მოგახსენებთ:

სტუ-შევარდენი — მართვე 40:18 (24:5)

სტუ-შევარდენი: ერაძე, მეიფარიანი, ბოყოჩაძე (17), კალანდაძე (10), ორჯონიკიძე (4), მაისურაძე (2), კეკელიძე (1), თხილავა (4), თურქია (2), სარალიძე, იაკობიძე, ჩაჩანაშვილი.

მართვე: თევზაძე, ბედოშვილი (4), აბუალდაძე (4), კეკელია (2), მამალაძე (1), კალანდაძე (1), სალაძე, სიხარულიძე (4), ყარმაზანაშვილი (2), ნატროშვილი, ორმოცაძე, ჭუმბურიძე.

ჩემპიონებმა, რა თქმა უნდა, უზარმაზარი უპირატესობით დაამარცხეს ნორჩი მეტოქეები, თუმცა შეჯიბრების პირველი გოლი მათ კარში გავიდა — პირველივე წუთზე შოთა აბუალდაძემ ზუსტი ტყორცნით გახსნა ანგარიში.

შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ალეკო ბოყოჩაძის 17 გოლი და დაინტერესება საკუთარი შედეგიანობით იმის გარანტიაა, რომ 22 წლის თავდამსხმელი შეეცდება პირველი გოლეადორის ტიტულის დაბრუნებას, რომელიც გასულ სეზონში ფოთელთა ლიდერმა ზვიად შათირიშვილმა ჩამოართვა. ბოყოჩაძეს საამისოდ მშვენიერი შანსი აქვს, რადგან შათირიშვილი ავადმყოფობის გამო პირველ წრეში ვერ ითამაშებს.

მამული — ჭაბუკთა ნაკრები 35:22 (19:8)

მამული: კომახიძე (1), უშვერიძე (15), ტაბიძე (7), გაბრიჩიძე (6), მალლაქველიძე (2), არსენაშვილი (1), მჭედლიშვილი, ჯაფარიძე (2), ბარათაშვილი (1), ნაროზაული, ყალიჩავა.

ჭაბუკთა ნაკრები: [illegible] (4), ჩიხლაძე (2), აირაპეტიანი (3), ჯლარკავა (2), გვაზავა (1), ქობელაშვილი, ლობჟანიძე (5), ჩაჩანიძე (2), ტაბატაძე (2), ცხადაია.

მამულელთა შემადგენლობაში გამოჩნდნენ თამაშს კარგა ხანს თავდანებებული სახელოვანი ვეტერანები — 44 წლის მეკარე ამირან კომახიძე და მასზე ერთი წლით უმცროსი ამბერკი ტაბიძე. სარბიელზე ზევეტერანების ოდენ გამოჩენაც კი სწორედ რომ სამაგალითოა ახალგაზრდებისათვის, მათ შვილებად რომ ეკუთვნიან. მაგრამ „ბებრები“ მხოლოდ რამდენიმე წუთით კი არ გამოძუნძულებულან მოედანზე: ორივე თავშენახულმა მთელი თამაში ბოლომდე მშვენივრად ჩაატარა. ტაბიძემ 7 გოლიც გაიტანა და უზუსტესი პასებითაც ამარაგებდა გარღვევაზე გასულ თანაგუნდელებს, კომახიძემ კი საიმედოდ ჩარაზა საკუთარი კარი, ორი პენალტიც მოიგერია და კარიდან კარში გოლის გატანაც მოახერხა.

საბომბარდირო დავაში ბოყოჩაძის ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი ალბათ მისი კბილა მერაბ უშვერიძეც იქნება — მშვენიერი ტექნიკის მქონე თავდამსხმელი, რომლის თამაშსაც სამწუხაროდ, სტაბილურობა აკლია.

გია ახალაძე

ქალი — მოვლენა


იუდით პოლგარი

იქო დრო, თანაც არც თუ დიდი ხნის წინ, ქალის მონაწილეობა ვაჟთა ტურნირში დიდ სენსაციად მიაჩნიოდა. დღეს კი ვიღაც უკვირს დიდოსტატ ვაჟთა ტურნირში დიდოსტატი ქალის მონაწილეობა და წარმატება. და მაინც, 19 წლის უნგრელ იუდით პოლგარის მიღწევებმა ვაჟებთან პაექრობაში ყველა აალაპარაკა . მსგავსი შედეგები არა ჰქონიათ ქალთა ჭადრაკის აღიარებულ ლიდერებს ვერა მენჩიკს, ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს...

მაია ჩიბურდანიძის აზრით, დღეს იუდით პოლგარი ვაჟთა შორისაც მსოფლიო კლასის დიდოსტატია. მართლაც, ფიდეს ვაჟთა რეიტინგ-ლისტში 1995 წლის 1 ივლისის მდგომარეობით იუდითს 26-ე სტრიქონი უკავია, მოკლედ, მსოფლიოს ვაჟთა ელიტაშია. რაღა თქმა უნდა, მისი რეიტინგი — 2635 პირველია ქალთა შორის. მეორეა ჟუჟა პოლგარი, იუდითის უფროსი და, რომელიც 70 ერთეულით ჩამორჩება მას. და ასეა უკვე რა ხანია.

იუდითის „შროშის წიგნაში“ მრავლადაა თვალსაჩინო მიღწევები ვაჟებთან პაექრობაში. გავიხსენოთ: 1992 წელს მოიგო პასტინგსის ტრადიციული საშობაო ტურნირი (იმართება 1895 წლიდან), მანამდე კი აქ არასოდეს გაემარჯვა მოჭადრაკე ქალს. უფრო ადრე იუდითმა მატჩში დამარცხა მსოფლიოს ექსჩემპიონი ბორის სპასკი — 5,5:4,5. მანამდე ქალს არასოდეს „დაეწოქებინა“ ასეთი მრისხანე მეტოქე. იუდითი რობერტ ფიშერსაც უნდა შებმოდა, მაგრამ ჭირვეულმა ამერიკელმა სიტყვა გადათქვა. დიდი სენსაცია იყო იუდითის გამარჯვება უნგრეთის ვაჟთა ჩემპიონატში, რამაც მას ქვეყნის ნაკრების ლიდერობა მოუტანა 31-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე. ესეც ისტორიული მოვლენა: ვაჟთა ოლიმპიადაში მოჭადრაკე ქალი არასოდეს ყოფილა ნაკრების თაკეცი.

ნიჭიერ ქალიშვილს საკმაოდ დაუგროვდა გამოჩენილ დიდოსტატთა „სკალპები“. მას სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტურნირში (სწრაფ ჭადრაკში, თვალხუჭეულ თამაშში) დუმარცხებია ანატოლი კარპოვი, ვასილი ივანჩუკი, ვიში ანანდი და ბევრი სხვაც.

ხშირად კითხულობენ: ასეთი ძლიერი რომ არის, რატომ არ სურს ქალებში მსოფლიოს ჩემპიონობა? წარმოიდგინეთ, რომ ამის გაგონებაც არ სურს. ფიდემ რამდენჯერმე მიიწვია იგი, უშელავათა კიდეც (პერსონალურად დაუშვა პრეტენდენტთა ტურნირში), მაგრამ იუდითი ყოველთვის უარობდა. მას, უბრალოდ, არც აინტერესებს ქალებთან პაექრობა. მიაჩნია, რომ ნამდვილ ჭადრაკს ვაჟები თამაშობენ.

იუდითი და მისი დები — ჟუჟა და სოფი ბავშვობიდან მხოლოდ ვაჟთა ტურნირებში გამოდიან. ასე ზრდიდა მათ მამა — ლასლო პოლგარი, რომელსაც შვილების აღზრდის საკუთარი თეორია ჰქონდა. იგი 3 წლიდან ასწავლიდა ქალიშვილებს ჭადრაკსა და უცხო ენებს და სჯეროდა, რომ შესანიშნავ შედეგებს მიაღწევდა. მიაღწია კიდეც: სამივე გოგონა 18 წლამდე დიდოსტატი გახდა და ხუთ ევროპულ ენას დაეუფლა. ზოგადი განათლება დებმა შინ მიიღეს — მათ სკოლაში არ უსწავლიათ. ქალთა ჭადრაკს მხოლოდ ჟუჟა „დაუბრუნდა“. მალე იგი მატჩში შეხვდება მსოფლიოს ჩემპიონ სე ძუნს. საინტერესოა, რომ მისი მთავარი მრჩეველი და სეკუნდანტი იუდითი იქნება. ალბათ გახსოვთ, იუდითი ჟუჟას ჩიბურდანიძესთან პრეტენდენტთა ფინალურ მატჩშიც ეხმარებოდა.

ამბობენ, იუდითს მსოფლიო ჩემპიონობა სურს ვაჟთა შორისო. მაია ჩიბურდანიძის აზრით, იუდითი კარგი, ძლიერი მოჭადრაკეა, მაგრამ იგი ვერ შეცვლის კასპაროვს. არა კმარა, შესანიშნავად გესმოდეს ჭადრაკი და ძლიერად თამაშობდე, მსოფლიოს ჩემპიონად უნდა დაიბადო — უნდა გქონდეს მტკიცე ხასიათი და რაც მთავარია — ენერგიის დიდი მუხტი.

რამდენიმე წლის წინათ იუდითი, შესაძლოა, ფიქრობდა ტახტიდან კასპაროვის „ჩამოგდებას“. ერთხელ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირშიც იასპარეზა, მაგრამ მას ვერ გასცდა. ახლა იუდითი უფრო საღად აზროვნებს:

— ყველა ვაჟი მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებობს. არ შევნატრი მათ. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დიდი უღელი და მძიმე ტვირთია. ჩემპიონს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ გვირგვინს გაფრთხილება სჭირდება. ეს კი მას „ცხოვრების გემოს“ უკარგავს. მე არ ვესწრაფი ჩემპიონობას. უბრალოდ, მიხარია როცა კარგ პარტიას მოვიგებ. თუ ვისურვე ჩემპიონობა მაშინ უარი უნდა ვთქვა ჭადრაკის რეკლამაზე, პრესასთან ურთიერთობაზე და საერთოდ ხალხთან შეხვედრა-საუბრებზე. ასეთი ცხოვრება არ მომწონს. ახლა კვირაში ოთხჯერ ნახევარსაათიანი გადაცემები მაქვს უნგრეთის ტელევიზიაში. ამას უსასყიდლოდ ვაკეთებ. ისე მიყვარს ეს საქმე, თავს ვერ დავანებებ. ცხადია, ეს არა არის გზა მსოფლიო ჩემპიონობისკენ, ჩემი მიზანია, რაც შეიძლება პოპულარული გავხადო ჭადრაკი.

ასეთი გახლავთ იუდით პოლგარის დღევანდელი საჭადრაკო კredo.

საინტერესოა, როგორია იუდითი ცხოვრებაში? პირველად იგი 1983 წელს ბუდაპეშტში, პოლგარების ოჯახში სტუმრობისას ვნახე, ბოლოს კი შარშან, მოსკოვში, 31-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე. პოლგარები იქ მთელი შემადგენლობით იყვნენ წარმოდგენილნი.

იუდითი პირმშვენიერი, ქერა, ცისფერთვალა გოგონაა. თავი დამოუკიდებლად უჭირავს. განსაკუთრებით მეგობრობს დედასთან, ქალბატონ კლარასთან. ამბობს, მამა მუდამ დაკავებულია, ჩემი მომფერებელი მხოლოდ დედაა. კლარა სულ თან ახლავს მოგზაურობის ტრფიალ იუდითს. ხშირად პოლგარები ერთად არიან ამერიკასა და ევროპაში, მით უმეტეს, როცა ტურნირებში მონაწილეობენ.

შარშან ჟუჟა ამერიკელ ინჟინერს, კომპიუტერების სპეციალისტს ჯაკობ შუტცმანს მისთხოვდა. მილოცვისას ქალბატონ კლარას ესეც ვკითხე, იუდითს რიდის ათხოვებთ-მეთქი. გაიღიმა, ადრეა, ჯერ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები ჭადრაკშიო.

იუდითს ცხოვრება ისე აეწყო, მუდამდღე ვაჟთა საზოგადოებაში უწევს ტრიალი. ამას შეჩვევა უნდა, ამბობს, ვაჟები ძალიან მაბეზრებენ თავს შეკითხვებით: შეყვარებული თუ გყავს, ვინაო. რაიმე ახალს თუ ჩავიცმევდი, ვინ გიყიდაო, თითქოს თავად არ შემეძლოს შეძენა. ახლა ნაკლებად მაწუხებენ, მაგრამ მათ შორის მეგობარი მაინც არა მყავს. მათ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონობა აინტერესებთ. როცა გავთხოვდები, გავთხოვდები კი სიყვარულით, ჩემი მეუღლე ძალიან მეყვარება, მაგრამ ჭადრაკს არასოდეს დავანებებ თავს. ვინც გათხოვდა და ჭადრაკს შეეშვა, მერწმუნეთ, ჭადრაკი არ უყვარდა...

იუდით პოლგარი დიდი მოვლენაა XX საუკუნის ბოლო ათწლეულის ჭადრაკში. ასეთი შემართების და ძალის მოჭადრაკე ქალი არ იცის ამ თამაშის ისტორიამ.

თენგიზ გიორგაძე

შიტო შოტო დაუფლეტელი

თუკი ამიერ ჩვენში აღმოსავლურ ორბრძოლთა თამაშებზე შოტოსკანთა და გაუგებრობაზე უფრო ხშირად გაიგონებდითა ზლა გვინდა ერთ სასიამოვნო ფაქტზე შევაჩეროთ თქვენი ყურადღება. ამასწინათ გამართულ შეჯიბრებაში, რომელიც თაოსანმა — შიტო რიუს ფედერაციამ (პრეზიდენტი მ. ასათიანი) საქართველ-

ლოში კარატეს ერთ-ერთი პიონერის, შუქრი ჩიქოვანის ხსოვნას მიუძღვნა, შიტო რიუსთან ერთად შოტო კანის (პრეზიდენტი ზ. ლეჟავა) და შუკო კაის (თ. ჯაბაია) ფედერაციებიც მონაწილეობდნენ. სულ შეჯიბრში, რომელიც კატაშიც გაიმართა და კუმიტეშიც, ზუთ ასაკობრივ ჯგუფში 107 კარატისტი ჩაება.. დებულების მიხედვით შუქრი ჩიქოვანის თასი უნდა გადასცემოდა ფედერაციაში შემავალ იმ კლუბს, ვისაც მეტი პრიზიორი ეყოლებოდა და მეტ ქულას დაგროვებდა. საბოლოოდ შიტო რიუმ 106 ქულა დაგროვა და 22 ქულით ჯაუსწრო შოტო კანის ფედერაციას. გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს 10-10 წლის ელენე დვიდოვამ და ირაკლი გულისაშვილმა, აგრეთვე 17 წლის დათო კოდუამ და და-ძმა ლაშა და ნინო ნინოშვილებმა (ყველა — შიტო რიუ). შოტო კანიდან კი თავი ისახელეს: გიორგი მაჩაბელმა (10 წლის), ლევან სადაღაშვილმა და გიორგი კოტორაშვილმა.

შუქრი ჩიქოვანის თასი მოიპოვა კლუბმა „ოდიშმა“ (პრეზიდენტი ჯამბულ კოდუა), შიტო რიუს პრეზიდენტმა მიხეილ ასათიანმა კი აღნიშნა, რომ თასის რიგით მესამე გათამაშება, გაისად რომ გაიმართება, საერთაშორისო იქნება, მანამდე კი ქართული შიტო რიუ მოსკოვსა და ირანშია დაპატიჟებული საერთაშორისო ტურნირებზე.

გიორგი თავართქილაძე

ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გინვეევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით“ შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:
36-00-94, 36-65-00, 93-36-71

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. 10-12 ნოემბერი			
ჰანზა — ბაიერნი	2,7	2,7	1,8
ჰამბურგი — დორტმუნდი	3,0	2,7	1,7
უერდინგენი — კაიზერსლაუტერნი	1,5	2,8	3,8
ვერდერი — აინტრახტი	1,3	3,0	5,0
კარლსრუე — ლევერკუზენი	1,7	2,5	3,2
კიოლნი — შტუტგარტი	2,4	2,4	2,2
შალკე — ზანქტ პაული	1,5	2,7	4,0
მიუნხენ 1860 — ფრაიბურგი	1,3	3,0	5,0
ფორტუნა — მიონხენგლადბახი	3,6	2,6	1,6
ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტური. 11-12 ნოემბერი			
კომპოსტელა — ბილბაო	1,8	2,6	2,8
სალამანკა — ვალენსია	3,0	2,7	1,7
ტენერიფე — ბარსელონა	3,0	2,7	1,7
ალბასეტე — ბეტისი	2,2	2,4	2,4
სოსიედადი — ოვიედო	1,3	2,8	5,6
რასინგი — რეალი	3,0	2,7	1,7
ატლეტიკო — რაიო ვალეკანო	1,3	2,8	5,6
სპორტინგი — სარაგოსა	1,6	2,8	3,2
სევილია — მერიდა	1,6	2,8	3,2
ესპანიოლი — ვალიადოლიდი	1,2	3,0	6,5
სელტა — დეპორტივო	2,2	2,8	2,0
შოტლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. 11 ნოემბერი			
რეის როვერსი — მოზერველი	1,7	2,7	3,0
რეინჯერსი — აბერდინი	1,2	3,0	6,5
შვეიცარიის ჩემპიონატი. XVIII ტური. 12 ნოემბერი			
სენტ გალენი — ლუცერნი	2,0	2,5	2,5
გრასჰოპერი — იანგ ბოიზი	1,05	3,4	10,0
ავსტრიის ჩემპიონატი. XVI ტური. 10-11 ნოემბერი			
ზალცბურგი — ტიროლი	1,6	2,6	3,6
ლინცერი — რაპიდი	4,0	3,0	1,4
თურქეთის ჩემპიონატი. XII ტური. 10-12 ნოემბერი			
გალათასარაი — ანკარაგიუჯუ	1,15	3,1	7,0
ბეშიქთაში — ბურსასფორი	1,4	2,6	5,0
სამსუნსფორი — ტრაბზონსფორი	3,0	2,7	1,7
გენწლერბირლიგი — ფენერბაჰჩე	3,8	2,8	1,5

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

გერმანია (მე-13): 26 და ნაკლები — 1,9; 28 და მეტი — 1,9

ესპანეთი (მე-12): 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდეც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ვერარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
1	ALBACETE BALOMPIE										1-1			0-1				3-2			4-2	4-0	
2	RCD ESPAÑOL BARCELONA	1-0					0-0						1-0				3-1			1-0		2-2	
3	FC BARCELONA				4-1					2-0		4-1					4-1						2-2
4	ATHLETIC DE BILBAO		0-0				2-1		0-2				4-0					1-1				3-0	1-1
5	SD COMPOSTELA			2-1				4-0		1-0		4-1											1-0
6	SPORTING GIJON	3-0											4-2					3-1			4-2	1-0	
7	DEPORTIVO LA CORUÑA	5-0	0-1				1-0						2-3				2-0			3-1			
8	ATLETICO DE MADRID		2-1				2-0	1-0							1-1								
9	RAYO VALLECANO	2-0									1-5		1-2			1-2	1-4			3-2			
10	REAL MADRID CF			1-1	1-2	2-1						2-3			3-2				2-0				
11	REAL OVIEDO	1-0			0-0					2-0						0-1	2-2			0-1			
12	RACING SANTANDER								0-4					0-0				1-1			0-0	2-1	
13	REAL ZARAGOZA			0-3		1-0			0-1			1-0			1-2				0-2				
14	REAL SOCIEDAD		0-1				2-0	2-1	2-1														1-2
15	REAL BETIS SEVILLA			1-5	0-0	5-0					0-0			3-1					3-3				
16	SALAMANCA										0-2			0-1		2-1					0-0	0-1	
17	SEVILLA FC		0-3					0-0							2-1				0-1				
18	CD TENERIFE		1-4					1-1	0-0	2-2		3-3											1-0
19	VALENCIA CF				3-1	5-2					4-3			0-0		1-1			1-0				
20	REAL VALLADOLID			0-2		0-0			0-1						3-0			3-3	3-0				
21	RC CELTA VIGO					0-1			0-3						1-1			4-0	2-2				
22	MERIDA	1-1					1-0						3-1			1-1	0-0			0-2			

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	ATALANTA BERGAMO								1-1	1-3		1-1	2-0				0-0		
2	AS BARI	1-3		3-0				1-0		1-1					3-3				
3	US CAGLIARI				1-0									0-2	0-1				0-0
4	US CREMONESE	1-1					0-0					0-2		0-1					
5	AC FIORENTINA		3-2	3-1	3-2										2-0	2:0			
6	SAMPDORIA			1-2		2-1			0-0			3-0		1-1					
7	AC MILAN	3-0			3-2												2-1		2-1
8	INTER MILANO							1-1					0-0		0-0	4-0		1-0	
9	SSC NAPOLI				0-0	0-2		2-1		2-0									
10	AC PADOVA							1-2				1-3				1-1			
11	AC PARMA					3-0	1-1		2-1				3-2					1-0	
12	PIACENZA		3-2				3-2			0-1									0-0
13	AS ROMA	0-1						1-2				1-1			0-0				
14	LAZIO ROMA										2-0		4-1				2-2		4-0
15	AC TORINO		3-1				1-1			0-0				2-2				1-0	
16	UDINESE			1-0	3-2											1-0		1-1	1-0
17	VICENZA		2-0			1-0		1-1			2-1		1-1						
18	JUVENTUS TORINO				4-1					1-1	3-1							1-0	

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	FC ARSENAL		2-0									1-0	1-1		1-1			4-2		1-0	
2	ASTON VILLA				1-0	0-1		1-0				3-1			1-1						2-0
3	BLACKBURN ROVERS		1-1			3-0	5-1					1-2				1-0		2-1			
4	BOLTON WONDERERS	1-0		2-1				1-1					1-1	1-3		0-1					
5	FC CHELSEA	1-0					2-2	0-0				1-4					0-0	3-0			
6	COVENTRY CITY	0-0	0-3								2-1				1-1		0-1		2-3		
7	FC EVERTON	0-2		1-0								2-3		1-3				2-0	1-1		
8	LEEDS UNITED	0-3	2-0				3-1			1-0						1-2	2-0				
9	FC LIVERPOOL			3-1	5-2		0-0				6-0					1-0	1-0				
10	MANCHESTER CITY	0-1			1-0			0-2	0-0				0-1						1-1		
11	MANCHESTER UNITED				3-0					2-2	1-0		2-0							2-1	3-1
12	MIDDLESBROUGH			2-0		2-0	2-1		1-1							1-0		0-0			
13	NEWCASTLE UNITED					2-0	3-0			1-1	3-1		1-0								6-1
14	NOTTINGHAM FOREST				3-2	0-0		3-2			3-0									1-1	4-1
15	QUEEN'S PARK RANGERS										1-0			2-3	1-1		0-3		2-3		0-3
16	SHEFFIELD WEDNESDAY			2-1								0-0	0-1	0-2					1-3	0-1	
17	FC SOUTHAMPTON								1-1	1-3				1-0	3-4	2-0				0-0	
18	TOTTENHAM HOTSPUR		0-1						2-1	1-3				1-1	0-1						3-1
19	WEST HAM UNITED		1-4	1-1		1-3		2-1	1-2										1-1		
20	FC WIMBLEDON				3-2				2-4	1-0						2-2	1-2			0-1	

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	FORTUNA DUSSELDORF					2-2		0-0	2-2			1-1	-1						1-0
2	SV WERDER BREMEN	1-1		2-2	1-1					1-1	1-0					2-0			
3	BORUSSIA DORTMUND	3-0								1-1		3-0		2-1	3-1			6-3	
4	FC ST. PAULI			0-3						1-2		3-3			0-1	4-2		1-3	
5	FC HANSA ROSTOCK			3-2	2-0		1-1						1-2	2-3				3-3	
6	EINTRACHT FRANKFURT			3-4	2-2					3-1	2-2				4-1	4-2			
7	SC FREIBURG		0-1		0-2		2-0		0-3								1-2		1-1
8	HAMBURGER SV		3-3			1-1				1-0	0-0					2-2	1-1		
9	1. FC KAISERSLAUTERN	2-0									2-2	1-1		1-3	2-3			1-1	
10	KARLSRUHER SC	3-1				0-2		1-1				1-0			2-6				2-0
11	1. FC KÖLN							1-1	3-2				2-2	0-2			0-1		0-0
12	BAYER 04 LEVERKUSEN		2-2	1-1	1-1		2-0		0-1								0-0		
13	BORUSSIA MÖNCHENGLADBACH		1-0		2-4		4-1	1-0					0-0				4-1		
14	FC BAYERN MÜNCHEN							2-0	3-2				1-0	1-2				5-3	2-0
15	TSV 1860 MÜNCHEN	2-1				1-1					1-1	2-1			0-2			1-1	
16	FC SCHALKE 04	1-1		1-2		1-3				1-1	2-1					1-1			
17	VIB STUTTGART		1-1				3-2	3-1					1-4	5-0					0-0
18	UERDINGEN		3-0			1-1	1-1		1-1							2-0	0-1		

ნლეევანდელი მატჩები

საქართველო –

პოლონეთი 68:91
დანია 97:86
ინგლისი 76:84
უელსი 101:73
ლუქსემბურგი 81:64
სლოვაკეთი 73:82
ბოსნია 77:66

ევროპის ჩემპიონატის
შესარჩევი ტურნირი



თბილისი, 12 ნოემბერი

ნლეევანდელი მატჩები

ისრაელი –

იტალია 71:73
შვედეთი 87:62
გერმანია 73:60
საბერძნეთი 49:59
იუგოსლავია 93:72
[illegible] 56:91
საბერძნეთი 73:75
სლოვაკეთი 86:69

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო — ისრაელი

ასეთი რამ იშვიათად ხდება: თითქმის გამორიცხულია, ამერიკის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი და, თან, კალათბურთელთა გუნდის ნევრი შუა სწავლის პერიოდში დროებით გაათავისუფლონ და თავისი ქვეყნის ნაკრებში სათამაშოდ გამოუშვან. ამჯვარი სტუდენტი-კალათბურთელი ბელარუსს ორი პყავს, ისრაელს — ერთი. მაგრამ ისინი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის თავ-თავიანთმა უნივერსიტეტებმა არ გაუშვეს. ქართველები კი აქაც გამონაკლისები ვართ, რადგან ვახტანგ ნაცვლიშვილი, მაუნტ-აიდას კოლეჯის სტუდენტი დღეს თბილისშია და ცოტა ხნით, ლექცია-სემინარების ნაცვლად, ისრაელს როგორ ეთამაშოს, იმაზე ფიქრობს.

ამათი ძველი ჯავრი მაქვს

ვახტანგ ნაცვლიშვილი

— ამერიკაში 12 სექტემბერს ჩავედი. ჩვენი დაწყებული იყო. და მეც პირდაპირ შევუდექი. კალათბურთისგან ორი კვირა დავისვენე. შემდეგ ჩემით დავიწყე ფიზიკური ვარჯიშები. 1 ოქტომბრიდან გუნდთან ერთად ვარჯიშები დაიწყო, ერთ თვეში კი სეზონის პირველი მატჩიც ვითამაშე.

— ისე ვიცოდით, რომ ბოსტონ-კოლეჯში მიდიოდით სასწავლებლად, მაუნტ-აიდაში როგორ აღმოჩნდით?

— ამერიკაში ბოსტონ-კოლეჯის მწვრთნელმა წამიყვანა, ოღონდ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მაინცდამაინც ამ სასწავლებელში ვიქნებოდი. ჯერჯერობით ამ კოლეჯში სწავლის უფლება არც მაქვს. მოგეხსენებათ, ამერიკულ კოლეჯებში სწავლის მოსურნე სტუდენტმა უნდა ჩაბარო „ტოეფელის" ტესტები და რაღაც ქულები დააგროვოს. ეს ტესტები ადრე ჩავბარე, მაგრამ დაგროვილი ქულები საკმარისი არ აღმოჩნდა პრესტიჟულ ბოსტონ-კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად. მაუნტ-აიდაში კი შემეძლო მესწავლა და ასე აღმოვჩნდი იქ. 8 დეკემბერს „ტოეფელში" კიდევ ერთ გამოცდას ჩავბარებ. იმედი მაქვს, სასურველ ქულებს ახლა მაინც დავაგროვებ.

— მაუნტ-აიდას კოლეჯი რას წარმოადგენს?

— ეს კოლეჯი ბოსტონშია. მისი საკალათბურთო გუნდი თამაშობს ეგრეთ წოდებულ კოლეჯების ათლეტთა ეროვნული ახალგაზრდული ასოციაციის (NCAJA) ჩემპიონატში. იგი ახალი ინგლისის დივიზიონის ჩემპიონია და ამიტომ ყველა მეტოქე განსაკუთრებული ყურადღებით გვეთამაშება. მაუნტ-აიდას კოლეჯში კალათბურთელი ორ წელიწადზე მეტს ვერ ითამაშებს. მართალი გითხრათ, ამდენ ხანს არც ვაპირებ იქ გაჩერებას. გამოცდებს ჩავბარებ და გაისიდან სხვაგან გადასვლაზე ვიფიქრებ. ამ სეზონს კი იქ დავამთავრებ — შუა წელიწადს ვერც სწავლას ვერ შეწყვეტ და ვერც გუნდს გამოიცვლი. მე სოციოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობ.

— შემადგენლობაში მოხვედრა ხომ არ გაგიჭირდათ?

— არა. ვთამაშობ ჩემს ჩვეულ ამპლუაში — მეოთხე ნომრის პოზიციაზე. ვარ სასტარტო ხუთეულში. ერთი ეკა, სულ სხვა კალათბურთს თამაშობენ. მარტივად რომ ვთქვათ, გაუთავებელი სირბილი გიწევს, გამძლეობა თუ არ გივარგა, მოედანზე არაფერი გესაქმება. მუდმივად თამაშობენ ზონურ პრესინგს და, რაც ყველაზე მეტად გამიკვირდა, ზონურ დაცვასაც ხშირად მიმართავენ. ფანტაზია და იმპროვიზაცია, პრაქტიკულად, აკრძალულია. დაროვრამებულივით უნდა გააკეთო ის, რასაც მწვრთნელი გეტყვის. მის დავალებას ვერ გადაუხვევ. სხვათა შორის, NBA-მდე რაც საკალათბურთო დონეებია, ყველგან ეგრეა.

— სტუდენტური კალათბურთის წესები ძლიერ განსხვავდება ჩვენებური, ფიბა-ს წესებისგან?

— ძალიან მნიშვნელოვნად არა, თუმცა ზოგ წესს იმსთანა განმარტებები აქვს, დღემდე ვერ გავარკვიე. რაც თვალში საცემია: ბურთს 30-ის ნაცვლად 35 წამს ათამაშებენ; სადაოს არ აგდებენ; საჯარიმოების სროლისას მოქმედებს „ერთს პლიუს ერთის" წესი, ოღონდ არა იმ გაგებით, შარშანდლამდე ფიბა-ს წესებში რომ ეწერა, არამედ სხვა, უფრო რთული გაგებით. პრინციპში, ამასაც მსაჯი წყვეტს, როდის გაასროლინოს „ერთს პლიუს ერთი". საერთო კი ის არის, რომ აქაც და იქაც თამაშობენ ორ-ორ ტაიმს ოც-ოცი წუთით.

— ისევ ბოსტონ-კოლეჯს დავუბრუნდები. იმ გუნდში თუ გაგსინჯეს?

— გამსინჯეს და ამხანაგური მატჩიც მათამაშეს. ბოსტონ-კოლეჯი NCAA-ის, ამერიკული სტუდენტური კალათბურთის უმაღლესი დონის ჩემპიონატში თამაშობს. არის ერთ-ერთი უძლიერეს „დიდი აღმოსავლეთის" კონფერენციაში. იქ რომ ვსწავლობდე, გუნდშიც უპრობლემოდ მოვხვდებოდი, მაგრამ ამერიკაში მკაცრი წესია: თუ სასწავლებელში არ სწავლობ, მის გუნდში ვერ ითამაშებ. იმედი მაქვს, გაისად იქ სწავლის უფლება მექნება და კარიერასაც იქვე გავაგრძელებ. NCAA-ში მოთამაშე კალათბურთელს ერთ გუნდში ოთხ წელიწადზე მეტის თამაშის უფლება არა აქვს. ამიტომ, 3-4 ადგილი ყოველ წელს თავისუფლდება — ზოგი ამთავრებს სწავლას, ზოგი NBA-ში ან სხვა საკალათბურთო ლიგაში მიდის.

— საქართველოში გამოშვებაზე ბევრი გაწვალეს?

— წვალება არა ყოფილა. მთავარი იყო, არ დამერღვია არაპროფესიონალის სტატუსი, რომელიც, როგორც სტუდენტს, ამჟამად მაქვს. როგორც გაიგეს, რომ მივდიოდი არა კლუბის, არამედ ეროვნული ნაკრების თამაშზე, ევროპის ჩემპიონატში სასპარეზოდ, გამიგეს და გამომიშვეს. არაპროფესიონალის სტატუსი კი იმას ნიშნავს, რომ კალათბურთიდან ფულის აღება არ შეიძლება. ფაკულტეტის დეკანმა 10-დღიანი განთავისუფლება მომცა. ოღონდ, გაცდენილი ჩასვლისთანავე უნდა აღვადგინო.

— ლექციებზე სიარულს გთხოვენ თუ შეღავათები გაქვთ?

— ლექციებზე დასწრება სავალდებულოა. 5 გაცდენილ საათზე ულაპარაკოდ გრიცხავენ. არავითარი შეღავათი არ არსებობს — გინდა ნაცვლიშვილი იყავი, გინდა ჯორდანი — პირველ რიგში ხარ სტუდენტი და მერე კალათბურთელი. ამას წინათ პრინციპული თამაში წავაგეთ, რათგან ხუთეულის ორი წევრი გვაკლდა. კოლეჯის რექტორატმა მათ დისკვალიფიკაცია მისცა ცუდი ყოფაქცევის გამო. ხელმძღვანელობა თავისი გუნდის ინტერესების წინაღმდეგ წავიდა, მაგრამ კანონი კანონია.

— ისრაელის გუნდებთან, ვიცი, ბევრი გითამაშიათ...

— თანაგუნდელებისგან განსხვავებით ისრაელელ კალათბურთელებთან ჩემი პირადი ანგარიშები მაქვს — სხვადასხვა ნაკრებების დონეზე რაც ვითამაშეთ, ყველაფერი წავაგეთ და, ცოტა არ იყოს, დაბოღმილი ვარ. 1993 წელს საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ისრაელში სამჯერ წავაგეთ იქაურ თანატოლებთან. თანაც, ბოლო შეხვედრის დამთავრებამდე 8 წამით ადრე ხუთ ქულას ვიგებდით და დამარცხება „მოვახერხეთ". ნლეულს ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრისას 39 წუთი ვიგებდით, მაგრამ ბოლოს მაინც წავაგეთ. თანაც, ამ მარცხის შემდეგ გადაგვწურა ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლის იმედი. ეროვნული ნაკრების დონეზე ისრაელს პირველად ვხვდებით და მინდა ნახვა გავუტეხოთ. ერთხელ მაინც ხომ უნდა გამიმართლოს მათთან?

მერაბ რატიშვილი

ვლადიმერ სტეფანია

მე ყველაფერს გავიღებ

ყველაზე საოცარი ის გახლავთ, რომ ვლადიმერ სტეფანია კალათბურთზე ძალით მიიყვანეს. ვარჯიში სკოლაში დაიწყებინეს, მაგრამ მალე თავი მიანება. შემდეგ ცურვაზე გადავიდა, მაგრამ დიდი ენთუზიაზმით არც იქ გამოირჩეოდა. შემდეგ კი ჩვენმა კოლეგამ და „ნორჩი დინამოელის" მწვრთნელმა ჯამლეთ ხუხაშვილმა მშობლების ნების წინააღმდეგ მაინც მიაბრუნა კალათბურთში და თავის გუნდში დაიყენებინა ვარჯიში. ბატონ ჯამლეთს ეოვასთვის სათამაშო ფორმა უჩუქებია, ჩაუცმევია, სარკესთან მიუყვანია და უთქვამს — ისე გიხდება, აუცილებლად უნდა ითამაშოო. ასე ძალით დარჩა სტეფანია კალათბურთში. დღეს ერთი რამ უდავოა, ეს დაძალება რომ არა, ქართული კალათბურთი ბევრს დაკარგავდა. ეოვა ამჟამად თბილისშია და ისრაელის ნაკრებთან შეხვედრისთვის ემზადება.

— გავიგეთ, კლუბი გამოგიცვლიათ.

— ამ სეზონის წინ დავტოვე ლიუბლიანის „ოლიმპია" და სლოვენიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის სხვა გუნდში — „სლოვან ლიტსტრიიში" გადავედი. უფრო სწორად, მე კვლავ „ოლიმპიის" საკუთრება ვარ, უბრალოდ, სხვა გუნდს ერთი სეზონით ჩემი თავი ათხოვეს.

— რატომ?

— თავად მინდოდა — „ოლიმპიაში" მესამე უცხოელი ვიყავი და ბევრს ვერ ვთამაშობდი. მე კი პრაქტიკა მჭირდება. მეორეც, სერიოზული კონფლიქტი მქონდა მწვრთნელ პეტერ ვილფანთან.

— ახალი გუნდით კმაყოფილი ხართ?

— ნორმალური გუნდია. ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე ვართ. ბოლო ორი მატჩი წავაგეთ. ჩემს გარდა ერთი უცხოელია — იუგოსლავიელი კალათბურთელი. ბევრს ვთამაშობ და ალბათ ამ სეზონს იქ დავამთავრებ. ისე, ახლავე შემიძლია დავბრუნდე „ოლიმპიაში", მაგრამ ჯერ არ მინდა.

— იქნებ ვილფანის გამო. ასე თუ ისე, იგი მსოფლიოს ჩემპიონია და სლოვენიის კალათბურთში საკმაო ავტორიტეტიც აქვს...

— ვილფანი აღარაა „ოლიმპიის" მწვრთნელი, ასე რომ, იგი არაფერ შუაშია. უბრალოდ, მე მომზადების სხვა გეგმა მაქვს.

— ბოსნიასთან მატჩი გავიხსენოთ. მაშინ უკმაყოფილო იყავით შეტევაში თქვენი თამაშით.

— ის იყო ჩემი პირველი ოფიციალური მატჩი სპორტის სასახლეში. მრცხვენია, რომ ვამბობ, მაგრამ შიში მქონდა — ამდენი ხალხი, ამხელა დარბაზი. მე პატარა დარბაზებში ვარ შეჩვეული თამაშს. დასაწყისში კონკრეტულად არაფერზე ვფიქრობდი, უბრალოდ, შერცხვენა არ მინდოდა. შეტევა თავიდან არ წამივიდა — ორი-სამი მარტივი ბურთი გავაფუჭე და ვერც ფარსვარედან ვიკარგე. მერე მივხვდი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა, გუნდის თამაშში ჩემი წვლილი რომ შემეტანა. მგონი, გავკეთე და არცთუ ცუდად — დაცვაში კარგად ვითამაშე. შეტევაშიც ასე რომ გავრჯილიყავი, მინიმუმ 30 ქულას დავაგროვებდი.

— ისრაელის კლუბებთან გითამაშიათ?

— კლუბებთან კი, ნაკრებების დონეზე — არა. კლუბებთან ან ამხანაგურ მატჩებში, ანაც ტურნირებზე მითამაშია. ამ ქვეყნის ყველაზე ძლიერი გუნდი, ვის წინააღმდეგაც მიასპარეზია, გალილეინის „ჰაპოელი" იყო. ისრაელში მაღალი დონის კალათბურთია. მაგალითისთვის უცხოელები ავიღოთ. ყველა გუნდში ძლიერი ლეგიონერები თამაშობენ და მათ კარგ ფულს უხდიან. ხოლო სადაც დიდი ფულია, იქ კალათბურთიც კარგი იქნება.

— როგორი განწყობა გაქვთ?

— რა გითხრათ, ნორმალური. პროგნოზების და კომენტარების გაკეთება არ მინდა. რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ, დანარჩენი კი ვნახოთ...

ისრაელი ფიბა-ს წევრია 1949 წლიდან, ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობს 1953 წლიდან, ხოლო 1954 წლიდან რეგულარულად ატარებს ეროვნულ ჩემპიონატს. ყველაზე მეტჯერ ქვეყნის ჩემპიონია თელ-ავივის „მაკაბი" — 35-ჯერ.

ისრაელის დელეგაცია 21 კაცის შემადგენლობით თბილისში მატჩის წინა დღეს, 11 ნოემბერს ჩამოვა ჩარტერული რეისით დღის ხუთის ნახევარზე, შინ კი თამაშის დასრულებისთანავე გაემგზავრება. ებრაელებმა ამის თაობაზე ფაქსით აცნობეს საქართველოს კალათბურთის ფედერაციას. იქვე სტუმრები იტყობინებიან, რომ დაღუპული პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის ხსოვნის პატივსაცემად მაისურებზე შავ ზოლს გაიკეთებენ, ისიც გვთხოვეს, იქნებ თამაშის დაწყების წინ წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ რაბინის ხსოვნასო.

დელეგაცია, რომელსაც შლომო ლუკი მეთაურობს, სასტუმრო „მეტეხში" დაბინავდება. ებრაელებმა მენიუც გამოგზავნეს და გვთხოვენ, უზრუნველყოთ მისი დაცვა. იმედი გვაქვს, „მეტეხის" მრავალნაცადი პერსონალი ყველაფერს თავს გაართმევს, თუმცა როგორი მოსამზადებელია, მაგალითად, მაინცდამაინც ზღვის თევზი მოთუშული, ანაც სპაგეტი ბოლონიურად. ისრაელის გუნდში, ეტყობა, ვეგეტარიანელებიც ბლომად ჰყავთ, რადგან მათთვის ცალკე მენიუა გამოგზავნილი, რომელიც დიდი ასორტიმენტით არ გამოირჩევა — მხოლოდ კვერცხი სხვადასხვა ვარიანტში.

ისრაელის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შვი შერვმა საქართველოსთან სათამაშოდ შეკრებაზე 15 კალათბურთელს გამოუძახა. თუ რომელი 10 მოხვდება შემადგენლობაში, ამას მხოლოდ სტუმრების თბილისში ჩამოსვლისას შევიტყობთ. ამჟამად კი გუნდში ემზადებიან: დორონ ჯამჩი, ნადავ ჰანფელდი, ოფერ ფლეიშერი, იაკოვ ბალელი, ამირ მუხტარი, მორდეხაი (მოტი) დანიელი, ორონ კოპენი (ყველამ ითამაშა ევროპის 1995 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საბერძნეთში), ტომერ შტეინპაუერი, ელი ბალელი, ამირ კაცი, ასიფ დოტანი, ოდედ კატაში, შალომ თორჯმენი, როტემ ერლიხი, შელეფ გური. ევრო-95-ის შემადგენლობიდან არ არის ხუთი კაცი: დორონ შეფერი, გაი გუდესი, გორდონი, ლიფი და არდიტი.

ისრაელი ევროპის ჩემპიონატებში

1953	5
1955	ფინალში ვერ მოხვდა
1957	ფინალში ვერ მოხვდა
1959	11
1961	11
1963	9
1965	6
1967	8
1969	11
1971	11
1973	7
1975	7
1977	5
1979	2.
1981	6
1983	6
1985	9
1987	10
1989	ფინალში ვერ მოხვდა
1991	ფინალში ვერ მოხვდა
1993	12
1995	9

მორდეხაი დანიელი თბილისში მოდის

როგორ შეაბეს მთა-კაცი

როგორც ოქლენდიდან იუწყებიან, გამონახულა ახალი ზელანდიის რაგბის ნაკრების ტახივით გარემარბის — ჯონა ლომუს ასალაგმი საშუალება.

ეს იარაღი არც ჯავშნოსანი ტანკია, არც სნაიპერის ტყვია და არც აგურის კედელი, არამედ სამხრეთი აფრიკის ქალაქ ქიმბერლის უნივერსიტეტის სტუდენტი გოგო ტანია რუტერი.

როგორც გაირკვა, იმ დროს, ლომუ „ოლ ბლექსს" მსოფლიო თასის ფინალისკენ თითქოს მარტოდმარტო რომ მიაჭანებდა, იმდენიც მოუსწრია, რომ მოედანს გარეთაც მოუგია ზოგი შეჯიბრი. კერძოდ, ტანიას გული დაუპყრია.

წყვილი ერთმანეთს გასცნობია ზელანდია — იაპონიის თამაშის შემდეგ ბლუმფონტეინში გამართულ შინაურ წვეულებაზე, „ოლ ბლექსის" კაპიტნის — შონ ფითსპატრიქის დაბადების დღის აღსანიშნავად რომ გაუმართავთ. იმ დღეს იუბილარსა და ლომუს არ უთამაშიათ, ტანია კი თურმე რაგბის ქომაგი არა ყოფილა და არც ლომუს გამო სმენოდა რაშე.

ტანიას მერეც უთქვამს, როცა ჯონა გამაცნეს, ვინ იყო, არცკი ვიცოდი, ისე კი თავიდანვე ძალიან მომეწონაო.

ქეიფის ზვალვე ზელანდიელები იოჰანესბურგს გაფრინდნენ შოტლანდიასთან სათამაშოდ მოსამზადებლად, მაგრამ ლომუს ჯიბის ტელეფონის წყალობით რომანი გაგრძელდა. ტანია თურმე არც მოელოდა, გოლიათი თუ კიდევ შეეხმიანებოდა.

„მეგონა, იმ ღამის შემდეგ ველარასოდეს ვნახავდი. კიდეც დავენიძლავე, რომ არ დამირეკავდა, მაგრამ მაგრად მოვტყუდიო", ამბობს ტანია.

ახლა ლომუსაც მოვუსმინოთ: „დიდი შვება ვიგრძენი, როცა დავურეკეო".

მერე და მერე ჯონამ ტანიას ქეიფთაუნში ჩასვლაც გაუხერხა და ზელანდია — ინგლისის ნახევარფინალს დასწრო, თავად კი, რაკი ტრიბუნაზე სატრფო ეგულებოდა, აქეთ-იქით მიმოფანტა ინგლისელი თეთრკვართიანები და სარეკორდოდ ბევრი — ოთხი ლეღოც გაუტანა.

ლომუ ისე ნასიამოვნები ყოფილა სტადიონზე ტანიას ყოფნით, რომ გაგანია თამაშში დროდადრო ანიშნებდა თურმე, მახსოვხარ და შენზე ვფიქრობო.

არ გეგონოთ, ფიცხელმა თამაშმა ლომუ ისე დაღალა, რომ მოსალხენად ძალა აღარ ეყო. პირიქით, იმავ საღამოს ისა და ტანია შეყრილან და ერთი პირობა განმარტოებულიც მსხდარან ქეიფთაუნის სანაპიროზე გაჩერებულ ავტომობილში.

ახლა თუმც ჭორს მრავლად გაიგონებთ იმ ღამის გამო, თავაზიანი გოლიათი ხელაღებით უარყოფს ტანიას ღირსების შელახვას. „სისულელეაო", გაიძახის ჯონა ნირნარი ბრალდების პასუხად. „მართალია, ტანიამ მომინახულა, მაგრამ დაძინებით ცალ-ცალკე ოთახებში დავიძინეთ, სასტუმროში რომ მივბრუნდითო".

ამის შემდეგ „ოლ ბლექსი" ისევ იოჰანესბურგს ჩავიდა ფინალის სათამაშოდ. ჯონამ ტანიასა და მის მშობლებს ბილეთებიც კი უშოვა დიდ მატჩზე დასასწრებად, მაგრამ ზელანდიელთა სავალალოდ ვერც ქიმბერლელმა ქალმა აღაგზნო მთა-კაცი იმდენად, რომ ამას ფინალში თავისიანებისთვის გეიმარჯვებინებინა.

ნამსოფლიოთასევს ზელანდიელები სამ დღეს დარჩნენ სამხრეთ აფრიკაში. ვიდრე „კივი" შინ გასაფრენად ემზადებოდა, ჯონა და ტანია სულ ერთად იყვნენ იოჰანესბურგში. იმ ხანად ლომუ თანაგუნდელებს კიდეც გამოსტყდომია, ცოტათი დავიღალეო. იმათ რომ მიზეზი უკითხავთ, გოლიათს დაუჩივლია, რა ხანია, არ მძინებია, სულ ჩემს მეგობართან ვსტუმრობო. ისინიც მიმხვდარან და აღარ ჩასციებიან, მეგობრის ვინაობა რომ ეთქმევინებინათ.

„ოლ ბლექსი" შინ გაემგზავრა. წესითა და რიგით, სატურნეო რომანი ამით უნდა დასრულებულიყო. უცხოეთს ნამყოფი ყველა სპორტსმენი ლეგენდებს მოგითხრობთ იქაურ მანდილოსნებთან სიყვარულობანას თემაზე. მაგალითი გნებავთ? — დაეკითხეთ „ოლ ბლექსის" მავან ფრთის მორკინალს ანაც ვესტ-ინდოეთის კრიკეტის გუნდის ნებისმიერ წევრს, მეტადრე კი ერთ მოწინავე ტაფელოსანს.

თანაც ჯონას მეგობარი გოგო ჰყოლია შინ, ოქლენდში. იმისთვის რა პასუხი უნდა გაეცა? ერთი სიტყვით, ჩაფარცხულა საქმეო, გაიფიქრებს მკითხველი და ისევ მწარედ მოტყუვდება.

ტანიას დედა, სახელად მორინი, მოგვითხრობს, რომ როგორც კი ჯონა შინ ჩასულა, იქედან რეკვა აუტეხია. დღეში თურმე მინიმუმ ორჯერ რეკავდა და ქალ-ვაჟიც თითო ჯერზე არანაკლებ ერთ საათს ჭუკჭუკებდა. ამით შეწუხებულ მორინს ლომუსთვის შეუთვლია, აქ რომ გვესტუმრო, უფრო იაფი დაგიჯდებაო.

ლომუც ასე მოქცეულა. „კივის" საფინალო მარცხის ერთი თვის თავზე ჯონა ისევ ეწვია „ცისარტყელასავით ქვეყანას", როგორც ნეტარი ნელსონი მოიხსენებს ხოლმე, და უმალ ტანიას მიაშურა ქიმბერლიში. თავად გოლიათმა ამბავი ასე მოგვითხრო:

„შინ რომ დავბრუნდი მსოფლიო თასიდან, მალევე მივხვდი, რომ ტანიას ნახვა მომწყურდა და თანაც შეძლებისდაგვარად მალე. ჰოდა, დავურეკე ჩემს მენეჯერს და ვთხოვე, უმალ შეეკვეთა სამხრეთ აფრიკაში გასაფრენი ბილეთი".

ამას რომ ყვებოდა, ლომუ მთლად მოლბა და პატარა ბიჭივით ამჩატდა. არადა, მეტოქე გარემარბები მას სულ სხვაგვარს იცნობენ!

ჯონამ მშვენივრად უწყოდა, რომ სამხრეთ აფრიკაში მისი ხელახალი და უდროო გამოჩენა დიდ ცნობისწადილს აღძრავდა. არამკითხველებს რომ ვერ ეცნოთ, ლომუ თეთრ ტანსაცმელში გამოეწყო და შავი სათვალეებიც მოირგო. და მაინც, იოჰანესბურგის აეროპორტშივე ამხილეს, მაგრამ მორაგბეს უთხოვნია, თავი გამანებეთ, აქ ოდენ არდადეგების გასატარებლად ჩამოვსულვარო.

ჯონას ერთობ ახარებს ის ამბავი, რომ ტანიას მისი თამაში დიდად არ აინტერესებს. კიდეც უთქვამს, კიდევ კარგი, რაგბში რომ ვერ ერკვევა, თორემ რაგბის თამაშის შემდეგ ისევ რაგბის გამო მასლაათზე მომაბეზრებელი რა უნდა იყოსო.

ახლა საკითხავი ერთიღა, თუ რით დასრულდება ეს მსოფლიოთასისეული რომანი. ნეტავ როდემდე გასტანს მილიონ გირვანქად დაფასებული რაგბის ზე-ვარსკვლავისა და ნარინჯის უნივერსიტეტის მეორეკურსელი სტუდენტი გოგოს ერთი შეხედვით დაუჯერებელი ტრფობა?

ჯონა დიდ გეგმებს აწყობს, ქორწილსაც აპირებს, ოღონდ ჯერ არა; ამასთან, ტანიასაც ეპატიჟება შინ, ახალ ზელანდიაში. „ოლ ბლექსის" ქომაგებსაც შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: იმის შანსი, ლომუ სამხრეთ აფრიკაში რომ გადასახლდეს, იოტისოდენია.

ერთი რამ კი ნაღდია — ჯონა ტანიას გარეშე ვერა ძლებს, მაგრამ ვიდრე მორაგბე „საგრაფოების" სახელით ზელანდიის პირველობის მოგებას ცდილობდა, ტანია კი უნივერსიტეტში ცოდნას ეწაფებოდა, შეყვარებულები იძულებულნი იყვნენ, მცირე ხნის სტუმრობასა და ტელეფონით საუბარს დასჯერებოდნენ.

ეს ნორჩები მანძილს არად დაგიდევენ. ჯონას მარცხენა წარბი კვლავაც ისე აქვს გაპარსული, რომ მასზე მისი კვართის ნომერს „11" ამოიკითხავთ, მაგრამ ტანიას ხელს რომ მოჰკიდებს, მყის გაინაზება და აცხადებს, ძალიან მიყვარსო. მომღიმარე ქალიც კვერს უკრავს, იმიტომ მიყვარს ჯონა, რომ ერთობ ნაზი და სათუთი, თუმც კი დიდი ვინმეაო.

ტანიას, როგორც სურს, ისე იფიქროს, აი, გადათელილი ინგლისელები — თონი ანდერვუდი და მაიქ ქეთი კი უეჭველად სხვა აზრზე იდგებიან.

ლონდონის ავსტრალიურ გაზეთ
„საზერნ ქროსიდან" თარგმნა

ზურა პლაძსენმა



FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

XVII ეტაპი

12 ნოემბერი
ავსტრალიის
გრან-პრი

ადელაიდის ქუჩები

წრის სიგრძე 3780 მ. 81 წრე — 306,2 კმ
სიჩქარის რეკორდი წრეზე — 180,5 კმ-სთ (დეიმონ ჰილი, „უილიამსი", 1993)



ბოლო ხუთი რბოლის პრიზიორები

1994 ნაიჯელ მენსელი („უილიამსი"), გერჰარდ ბერგერი, მარტინ ბრანდლი
1993 აირტონ სენა („მაკლარენი"), ალენ პროსტი, დეიმონ ჰილი
1992 ბერგერი („მაკლარენი"), მენსელი, ბერგერი
1991 სენა („მაკლარენი"), მენსელი, ბერგერი
1990 ნელსონ პიკე („ბენეტონი"), მენსელი, პროსტი

ავსტრალიის დიდი პრიზი 1985 წლიდან თამაშდება. პირველი რბოლა მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონმა ფინელმა კეკე როსბერგმა მოიგო „უილიამსით". ქვეყნის სამხრეთით, ინდოეთის ოკეანისპირა საკურორტო ქალაქ ადელაიდას ქუჩებში გამავალი ტრასა მეტად ნელია. ყველაზე რთულია სტარტის ნიშნულამდე მეორე, ლამის 180-გრადუსიანი მარჯვენა მოსახვევი, რომლის გავლისას ბოლიდების სიჩქარე 300-დან ერთბაშად 65 კმ-მდე ეცემა. ავსტრალიის დიდ პრიზს ზედიზედ ორჯერ ვერავინ დაეუფლა. ორ-ორი მოგება აქვთ ფრანგ ალენ პროსტს, ავსტრიელ გერჰარდ ბერგერსა და ბრაზილიელ აირტონ სენას. ადელაიდაში შარშანწინდელი გამარჯვება უკანასკნელი აღმოჩნდა დიდი ბრაზილიელის ცხოვრებაში. სწორედ იმ რბოლისწინა კვალიფიკაციაში დაამყარა სენამ ტრასის სიჩქარის რეკორდი — 185,5 კმ-სთ. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს მიზაელ შუმახერს ძალიან უყვარს ადელაიდაში ასპარეზობა. მისი თქმით, ტრასის პროფილი პილოტებს საკუთარი ოსტატობის სრულად გამოვლენის ნაღდ საშუალებას აძლევს. შარშან „შუმი" თითქმის შუა დისტანციამდე ლიდერობდა, მაგრამ დეიმონ ჰილთან შეჯახების შემდეგ ორივე გამოეთიშა ბრძოლას. ნოემბერში ავსტრალიაში ჯერ კიდევ გაზაფხულია და ხშირად კოკისპირულადაც წვიმს, რის გამიც რბოლა ორჯერ (1989 და 1991 წლებში) შეწყდა. ალბათ ესეც მიზეზი, რომ მომავალი წლიდან იქაური დიდი პრიზი შემოდგომით, მარტში გათამაშდება.

ფორმულა 1

საგაისოდ დაუგეგმავთ

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა საგაისო, 47-ე ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი. მასში წლევანდელივით 17 რბოლაა.

სეზონი, როგორც ყოველთვის, მარტში გაიხსნება, ოღონდ სამხრეთ ამერიკის ნაცვლად პრემიერა ამჯერად ავსტრალიაში გაიმართება: იქაური „გრან-პრი", რომელიც სიაში ერთთავად მაჩნჩალა იყო, ჩემპიონატის თავში მოაქციეს.

არის მეორე სიახლეც: ევროპის დიდი პრიზის ადგილი ინდონეზიისამ დაიკავა, თუმცა საკითხი საბოლოოდ დეკემბერში გადაწყდება.

მანამდე კი წინასწარი განრიგი ასეთია:

10.03	ავსტრალია (მელბურნი)
31.03	ბრაზილია (სან-პაულუ)
7.04	არგენტინა (ბუენოს-აირესი)
21.04	წყნარი ოკეანე (აიდა, იაპონია)
5.05	სან-მარინო (იმოლა)
19.05	მონაკო (მონტე-კარლო)
2.06	ესპანეთი (ბარსელონა)
16.06	კანადა (მონრეალი)
30.06	საფრანგეთი (მანი-კური)
14.07	ინგლისი (სილვერსტუნი)
28.07	გერმანია (ჰოკენჰაიმი)
4.08	უნგრეთი (ბუდაპეშტი)
25.08	ბელგია (სპა)
8.09	იტალია (მონცა)
22.09	პორტუგალია (ეშტორილი)
10.10	იაპონია (სუძუკა)
11.11	ინდონეზია (სენტული)

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ბია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჯედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

აქეთური, იქითური

იოჰანესბურგში 29 წლისა მოკლეს ცნობილი სოუეტოელი მოკრივე ჭინჭერ ჩაბალალა. მას მანქანას სტაცებდნენ და ქურდებს რომ გაუვარდა, ამათ ტყვია დაახალეს. ჩაბალალას პროფესიულ რინგზე 20 შერკინება გაემართა და ერთადერთი წაგო.

ესპანელი ავტორალისტი კარლოს საინი „სუბარუდან" საგაისოდ „ტოიოტაში" გადავიდა, მაგრამ ეს უკანასკნელი აღმაშფოთებელი ტექნიკური დარღვევების გამო საგაისო მსოფლიო ჩემპიონატიდან გარიცხეს.

ჩაბალალას ხვედრი კინაღამ გაიზიარა „ფლორიდა მარლინზის" კეტბურთელმა, 26 წლის გარი შეფილდმა. ისიც მანქანის გამტაცებლებმა დაჭრეს, როცა საკუთარ შვილს გაექომაგა, მაგრამ გადარჩა.

ალჟირში საპრეზიდენტო არჩევნების გამო ორი კვირით აიკრძალა რაგინდარა სპორტული ღონისძიება, რაკიღა ხელისუფლება შიშობს, ემანდ მუსლიმმა ფუნდამენტალისტებმა ყუმბარები არ აგვიფეთქონო.

გადაულებელმა წვიმამ ჩაშალა ინდოეთი — ახალი ზელანდიის მეორე საკრიკეტო ტესტი. ხუთი დღის განმავლობაში გუნდებს ოდენ ხუთი საათი დასცალდათ თამაში. ხალხი ჭკვირობს, თამაში რაღად დანიშნეს მადრასში, სადაც წლის ეს დრო მუსონთა სეზონიაო.

ფინელმა ნეოფაშისტებმა იმდენჯერ დაატეხეს 22 წლის კალიფორნიელი ზანგი კალათბურთელი დარელ პარკერი, რომ შინ გააქციეს ჰელსინკის შემოგარენში მდებარე 50 ათას მცხოვრებიანი მავანი დაბის კლუბიდან. დაბაში ოდენ 400 უცხოელი ცხოვრობს.

ოქლენდის შეჯიბრების მონაწილე ამერიკელმა ქალებმა — შრაივერმა, დავენპორტმა და მ. ჯ. ფერნანდესმა განაცხადეს, რომ ბოიკოტს მოუწყობენ საგაისო ავსტრალიის ღია პირველობას, თუკი ორგანიზატორები ქალების ჰონორარს არა 6, არამედ ვაჟების დარად 17 პროცენტით არ გაზრდიან. ამაზე „ტენის-ოსტრეილიას" თავკაცმა ჯეფ პოლარდმა განაცხადა, ვაჟებს გასამრჯელო მათს ასოციაციასთან შეთანხმებით მოვუმატეთ, ქალების ასოციაციასთან კი არ გვისაუბრიაო. ამასთან, ქალების შეჯიბრს მაყურებელიცა და სპონსორიც ნაკლებად ჭყავსო.

სასამართლოს მიერ გამართლებული ოჯი სიმფსონის დევნისა და დაპატიმრების ამსახველი ფოტოები აშშ-ში თურმე 160 დოლარად იყიდება.